პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი | № 119 (10816) | ოთხშაბათი, 22 მაისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ცნობა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1957 წლის გამოშვება), გამოშვებული 12 მილიარდი მანეთის რაოდენობით, 20 მაისს დღის ბოლოსათვის გავრცელებულია 14 მილიარდ 535 მილიონ 686 ათასი მანეთის რაოდენობით.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მითითების საფუძველზე გასცა განკარგულება ყველგან შეწყდეს სესხზე შემდგომი ხელმოწერა.

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ა. ზვერევი.

1957 წლის 21 მაისი.

მასების საწარმოო აქტივობის შემდგომი გაძლიერებისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე, სადაც განხილულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შეტანილი უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ, აღინიშნა, რომ სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა შეიძლება განვახორციელოთ მხოლოდ უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე, განუხრელი ტექნიკური პროგრესის პირობებში.

წარმოების განუწყვეტელი ზრდა-განვითარებისათვის ჩვენ ახლა ყველა პირობა მოგვეპოვება: გვაქვს სრულყოფილი ტექნიკა, გვყვანან სწავლულთა და პრაქტიკოსთა მრავალრიცხოვანი მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებსაც შეუძლიათ გადაჭრან თანამედროვე ურთულესი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემები, მდიდარნი ვართ ხალხის წიაღიდან გამოსული ტალანტებით. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის მოძველებული ფორმების ვითარებაში იქმნებოდა მთელი რიგი დაბრკოლებები, რომლებიც აფერხებდნენ ტექნიკურ პროგრესს, ამუხრუჭებდნენ წარმოების სწრაფ ზრდას.

მართვის ახალი ფორმების დროს საწარმოებისა და მშენებლობების ხელმძღვანელობა განხორციელდება უმთავრესად ადგილობრივ ეკონომიურ რაიონებში. ეს იმის საწინდარია, რომ ხელმძღვანელობა დაუახლოვდება ცალკე საწარმოს, სამშენებლო ობიექტს, ახლოს გაეცნობა ადგილობრივ საჭიროებებს, მოქნილად წარმართავს საქმეს. ეს აგრეთვე იმის საწინდარია, რომ აღმოიფხვრება უწყებრივი ზღუდეები სხვადასხვა პროფილის საწარმოთა ხელმძღვანელობაში, გაადვილდება მრეწველობის ცალკეული დარგების შეწყობილი მუშაობა საერთო-სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაჭრელად.

თუ როგორ უშლიდა ხელს მრეწველობის შემდგომ განვითარებას უწყებრივი ზღუდეები, ჩანს შემდეგი მაგალითიდან:

ქუთაისის ლიტოპონის ქარხანას, რომელიც თავისი პროდუქციით სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს გარდა ამარაგებს სსრ კავშირის რეზინისა და პლასტმასის მრეწველობას, საგრძნობი რაოდენობით სჭირდება ე. წ. მსუბუქი შპატი. ეს ნედლეული უხვად მოიპოვება წყალტუბოს რაიონში, საიდანაც მას დასაფქვავად გზავნიან პოდოლსკში, ხოლო იქიდან დაფქული სახით უბრუნდება ქუთაისის ლიტოპონის ქარხანას. იქვე კი ლიტოპონის ქარხნის გვერდით არსებობს ბარიტის საფქვავი ქარხანა, რომელსაც შეუძლია მსუბუქი შპატის დაფქვაც. მაგრამ ბარიტის საფქვავი ქარხანა სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს ემორჩილება, ლიტოპონის ქარხანა კი — სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს და ამ უწყებებს შორის გადაულახავად აღმართულმა ზღუდემ შეუძლებელი გახადა ასე მარტივად და ადვილად მოსაწესრიგებელი საქმის მოგვარება, გამოიწვია დაფქული შპატის თვითღირებულების ერთი ოთხად გადიდება. მართვის ახალ ფორმებზე გადასვლის შემდეგ უწყებრივი ზღუდეები წაიშლება.

პარტია მოგვიწოდებს, რომ ახლა საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მასობრივი მოძრაობა, შევუქმნათ მათ ყველა პირობა შემოქმედებითი მუშაობის გაშლისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე გამოითქვა აზრი გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ნებაყოფლობითი საზოგადოების დაარსების შესახებ, რამაც მოწონება ჰპოვა. ეს მოწმობს იმ დიდ აუცრადღებას, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა რაციონალიზატორული მუშაობისადმი იჩენენ, მაგრამ ასეთსავე აყურადღებას მუშა-გამომგონებლებისადმი ჩვენი რესპუბლიკის ზოგ საწარმოში ვერ ვხვდებით.

ამას წინათ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროს უფროსი ინჟინერი თინათინ ნადირაძე რედაქციაში გამოგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის და სტალინის სახელობის მაღაროებში რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების დამხმარე საბჭოები უმოქმედობას იჩენენ, ზერელედ და სახელდახელოდ ახდენენ შემოსული რაციონალიზატორული წინადადებების განხილვას, მუშაობის ხალისს უკარგავენ რაციონალიზატორებს. ასეთსავე გულგრილობას იჩენენ რაციონალიზატორებისადმი გორის ბაბბეულის საფეიქრო კომბინატში და მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, ადგილობრივმა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყველა შესაძლებელი დახმარება უნდა გაუწიონ ტექნიკური პროგრესისათვის მებრძოლებს — წარმოების ნოვატორებს, რაციონალიზატორებს, გამომგონებლებს შემოქმედებითი მუშაობის შემდგომი გაძლიერებისათვის.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ მოხსენებაში აღნიშნა, რომ ფართო უფლებები, რაც რესპუბლიკებს ენიჭებათ სამეურნეო მშენებლობაში, ხელს შეუწყობენ მასების ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის უფრო მეტ განვითარებას, საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების მატერიალური და სულიერი ძალების აყვავებას, ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივების, მათი ხელმძღვანელების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა შეუნილებელი ყურადღებითა და გულისყურით მოეკიდონ რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს. ხელი შეუწყონ მასების შემოქმედებითი საწარმოო აქტივობის ამაღლებას, ფართო გასაქანი მისცენ წარმოების ნოვატორთა ყოვლ სასარგებლო თაოსნობას. ეს იქნება მათი ღირსეული წვლილი ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის საქმეში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრა მწერლებთან, ხელოვანთა მოღვაწეებთან, მოქანდაკეებთან და კომპოზიტორებთან

საბჭოთა ინტელიგენციის მრავალმა წარმომადგენელმა კვირადღე 19 მაისი გაატარა მთავრობის აგარაკზე მოსკოვის ახლოს. აქ გაიმართა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრა მწერლებთან, მხატვრებთან, მოქანდაკეებთან, კომპოზიტორებთან.

საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს ნ. ა. ბულგანინს, ლ. მ. კაგანოვიჩს, გ. მ. მალენკოვს, ა. ი. მიკოიანს, ვ. მ. მოლოტოვს, მ. გ. პერვუხინს, მ. ა. სუსლოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ლ. ი. ბრეჟნევს, დ. ტ. შეპილოვს, ე. ა. ფურცევას, ნ. მ. შვერნიკს, ა. ბ. არისტოვს, ნ. ი. ბელიაევს, პ. ნ. პოსპელოვს.

შეხვედრის მონაწილეთათვის გაიმართა სადილი, რომლის დროსაც მოხდა აზრთა გაცხოველებული გაზიარება ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. სიტყვები წარმოთქვეს ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, დ. ტ. შეპილოვმა, ა. ი. მიკოიანმა, კ. ა. ფედინმა, ა. ა. სურკოვმა, ბ. ვ. იოგანსონმა, ტ. ნ. ხრენიკოვმა, ლ. ს. სობოლევმა, კ. მ. სიმონოვმა. ვ. ვ. ისაკოვსკინ, ს. ვ. მიხალკოვმა, ა. ე. კორნეიჩუკმა, ე. ა. დოლმატოვსკიმ, მ. ტურსუნ-ზადემ, ს. ვ. გერასიმოვმა, ნ. მ. ჯრიბაჩოვმა, მ. ი. ალიგერმა, ე. ე. პოპოვკინმა. შემდეგ გაიმართა ხელოვნების ოსტატთა კონცერტი.

შეხვედრამ განსაკუთრებული გულითადობისა და გულთბილობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გი მოლესადმი

18 მაისს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვი ეწვია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გი მოლეს და გადასცა მას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი.

ქვემოთ ქვეყნდება აღნიშნული წერილის ტექსტი:

„მოსკოვი, კრემლი 1957 წლის 17 მაისი

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარეო,

ამჟამად შექმნილი საერთაშორისო ვითარების განსაკუთრებული ხასიათი და უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრებათ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს როგორც დიდ სახელმწიფოებს, რომლებიც მოწოდებული არიან დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საერთაშორისო საქმეებში, მაიძულებს მოგმართოთ ამ წერილით. მე მინდა გულახდილობის სულისკვეთებით, რაც ახასიათებდა ჩვენს შარშანდელ მოლაპარაკებას მოსკოვში, გადმოგცეთ საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემაზე და განვიხილოთ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის გაუმჯობესების შესაძლო გზები.

ამჟამად, შეიძლება ითქვას, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე ამ უკანასკნელ წლებში, გარკვეულად იჩენს თავს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენციის არსებობა საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში.

ერთი მხრივ, სულ უფრო მტკიცედ გაისმის ხალხების ხმა, რომელიც მოუწოდებს სახელმწიფო მოღვაწეებს არ დაუშვან ომის საფრთხის ზრდა, იმოქმედონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიმართულებით, განამტკიცონ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობა და თანამშრომლობა და, ამრიგად, აღორძინონ „ჟენევის სულისკვეთება“, რომელსაც ასე მსურვალედ მიესალმებოდა ყველა ხალხი.

მეორე მხრივ, არიან ძალები, რომლებიც ისწრაფვიან უკიდურესად გაამწვავონ საერთაშორისო ვითარება და, „ომის ზღვარზე“ ეყოლებათ რა მსოფლიო, მატერიალური და პოლიტიკური სარგებლობა მიიღონ აქედან.

მთავარი საკითხი ამჟამად ის არის, თუ რომელი ტენდენცია დაძლევს ამ ორ ტენდენციაში, დაადგებიან სახელმწიფოები მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის გზას თუ ვითარების შემდგომ გამწვავებას დაუშვებენ და მსოფლიოს დაეხუჭრება მომაკვდინებელი ატომური ომის საფრთხე.

რაც შეგვეხება ჩვენ, საბჭოთა მთავრობას, ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მშვიდობის შენარჩუნების, ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებში არ უნდა იყოს სახელმწიფოთა დაყოფა ბანაკებად. სახელმწიფოებს შეუძლიათ სხვადასხვა შეხედულებები ჰქონდეთ ამა თუ იმ საერთაშორისო პრობლემებზე; შეიძლება იყოს და გარდუვალიც არის აგრეთვე იდეოლოგიური განსხვავებები სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემების ნაჭონე ქვეყნებს შორის, მაგრამ ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ არ შეიძლება შევთანხმდეთ მთავარზე: მშვიდობის შენარჩუნებაზე, იმაზე, რომ არ დავუშვათ ახალი ომის წარმოშობა.

განსაკუთრებით საჭიროა, რომ დიდმა სახელმწიფოებმა გამოიჩინონ მზადყოფნა ერთიერთესთან ურთიერთნდობის დამოკიდებულების დამყარებისათვის და საღავო საკითხების მშვიდობიან გადაჭრაში თანამშრომლობისათვის.

თქვენ, უეჭველია, გახსოვთ, რომ ჩვენს ერთობლივ განცხადებაში, რომელიც ხელმოწერილ იქნა მოსკოვში 1956 წლის 19 მაისს, ჩვენ გამოვთქვით მტკიცე სურვილი განგვეხორციელებინა ღონისძიებანი სახელმწიფოთა შორის ურთიერთნდობის განსამტკიცებლად და ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, რა განსხვავებაც უნდა იყოს მათს პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ სისტემებში, ჩვენ აგრეთვე ვაღიარეთ, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარება და გაუმჯობესება ყველა დარგში არა მარტო შეესაბამება ორივე ჩვენი ხალხის ინტერესებს, არამედ არსებითი წვლილიც არის საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებაში.

ეს მგონია, რომ ამ ჩვენი შეთანხმების განხორციელებას ახლანდელ პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენი ქვეყნებისათვის, ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისათვის. საამისოდ საჭირო წინამძღვარები არის. თუ საგნებს წინაზარსზვით არ შეეხედავთ, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის მთავარ საკითხებში ჩვენი ქვეყნების ინტერესები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება.

ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა შევჩერდე ევროპის უშიშროების პრობლემაზე. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის შარშანდელმა მოლაპარაკებამ გამოავლინა სრული დამთხვევა ორივე მთავრობის თვალსაზრისებისა იმის შესახებ, რომ მშვიდობასა და უშიშროებას ევროპაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო მშვიდობის დაცვისათვის.

ისტორიის გამოცდილება დამაჯერებლად მოწმობს, რომ ყველა დიდი სახელმწიფოდან საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი როგორც კონტინენტურ-სახელმწიფოები ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი ევროპის უშიშროების პრობლემის გადაჭრით. ხომ სწორედ ჩვენი ქვეყნების წინააღმდეგ არაერთხელ ყოფილა მიმართული გერმანიის აგრესიული მილიტარიზმის მთავარი დარტყმები და თუ არა საბჭოთა კავშირმა და საფრანგეთმა, პირველ რიგში ვინ უნდა იზრუნოს ევროპაში ისეთი პირობების შექმნისათვის, რომლებიც შეუძლებელს გახდიან ასეთი აგრესიული ომის გამეორებას ჩვენს კონტინენტზე. ამასთან დაკავშირებით მინდა მოგაგონოთ სიტყვები მგზნებარე პატრიოტის და საფრანგეთში სოციალიზმის გამოჩენილი წარმომადგენლის ჟან ჟორესისა, რომელმაც თავის დროზე იწინასწარმეტყველა, რომ რუსეთის რევოლუციის გამარჯვება შექმნის წანამძღვარს „საფრანგეთ-რუსეთის ნანდვილი კავშირისათვის, რომელიც ევროპაში მშვიდობის მძლავრი ფაქტორი გახდება“.

თქვენ, უეჭველია, იცით, ბატონო თავმჯდომარეო, რომ საბჭოთა მთავრობას არასოდეს არ მიაჩნდა, რომ ევროპის სახელმწიფოთა დაყოფა ერთანეთის მოწინააღმდეგე კარდაშულ სამხედრო ბლოკებად ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის შესაფერისი საშუალებაა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნამდვილად ნორმალური ვითარების ევროპაში შეიძლება მივაღწიოთ იხოლოდ იმ გზით, რომ აღვაკვეთოთ, თუნდაც თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ, ევროპის ახლანდელი გათიშვა სამხედრო დაჯგუფებებად და უზრუნველყოთ უშიშროება ევროპის ყველა სახელმწიფოს ღონისძიებებით, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, მიუხედავად იმისა, დღეს მათ აკუთვნებენ ეგრეთწოდებულ „დასავლეთის“ თუ „აღმოსავლეთის“ სახელმწიფოებს.

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ღონისძიებანი, რომლებსაც დასავლეთის სახელმწიფოები ამ უკანასკნელ ხანს ახორციელებენ, სულ უფრო ართულებენ ვითარებას ევროპაში. მე მხედველობაში მაქვს უწინარეს ყოვლისა ნატოს სრულიად გაუმართლებელი საქმიანობა ომისათვის მზადების ღონისძიებათა განხორციელებაში. ეს ხომ ფაქტია, რომ აღნიშნული სამხედრო დაჯგუფების საბჭოს ყოველი სესიის შემდეგ მსოფლიოს ატყობინებენ ახალი და ახალი ნაბიჯების შესახებ, რომლებიც მიმართულია ამ ზზადების გაძლიერებისაკენ. საქმეს ოდნავაც არ ცვლის ის, რომ ნატოს ხელმძღვანელები ყოველივე ამას ახორციელებენ ამ საახედრო ბლოკის მონაწილე ქვეყნების უშიშროების განმტკიცების შესახებ დეკლარაციების საფარით. ისტორიამ, მათ შორის XX საუკუნის ისტორიამ, იცის ბევრი მაგალითი, რომ აგრესიული, ავანტიურა ომები მზადდებოდა მშვიდობის, თავდაცვის ინტერესების შესახებ მაღალფარდოვანი დეკლარაციების საფარით. ჩვენ არაერთხელ გაგვიღია მეტად ძვირი ფასი აგრესორზე გამარჯვებაში, მეტად ბევრი სისხლი დაგვიღვრია აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამიტომ არ შეგვიძლია ადვილად დამჯერე ვიყოთ და შესაბამისი დასკვნები არ გამოვიტანოთ ის ვითარებიდან, რომელიც ევროპაში იქმნება ნატოს მოქმედების გამო.

ამასთან დაკავშირებით თავს ნებას მივცემ შევეხო, კერძოდ, დასავლეთ ევროპის ექვსი სახელმწიფოს ახალ გაერთიანებათა საკითხს, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანს ეტეისმეტად ნაჩქარევად იქმნება და რომლებიც ცნობილია „ევრატომისა“ და „საერთო ბაზრის“ სახელით, რამდენადაც მათ დიდი როლი ეკუთვნით ნატოს გეგმებში.

საბჭოთა მთავრობამ ამას წინათ დაწვრილებით განითქვა ამ გაერთიანებათა თავისი შეფასება ამა წლის 16 მარტის სპეციალურ განცხადებაში. ჩვენი რწმენით, „ევრატომისა“ და „საერთო ბაზრის“ შექმნა, ისევე როგორც ნატოს პირდაპირი საომარი მზადება, რაც ამ უკანასკნელ ხანს ხორციელდება, მოწოდებულია კიდევ უფრო გააღრმავოს ევროპის ახლანდელი გათიშვა სამხედრო დაჯგუფებებად, განამტკიცოს ნატოს მონაწილე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ჯგუფის განკერძოება და ამრიგად შექმნას ახალი ბარიერები სრულიად ევროპის თანამშრომლობის მიღწევის გზაზე, რომელიც, ჩვენი აზრით, საფრანგეთს საბჭოთა კავშირზე ნაკლებად როდი ესაჭიროება.

ევროპაში შექმნილი ვითარების საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სერიოზული საშიშროება დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის პოლიტიკისა, რომელსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა დასავლეთის სახელმწიფოთა მხარდაჭერით ახორციელებს. არ შეიძლება მხედველობიდან გავუშვათ ის ფაქტი, რომ საყოველთაო სამხედრო ბეგრის შემოღებით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შექმნილია მრავალმილიონიანი არმიის სწრაფი შექმნის წანამძღვარები. გარდა ამისა, განა შეუძლიათ გერმანიის მეზობელ ქვეყნებს, რომლებიც წარსულში არაერთხელ გამხდარან გერმანიის აგრესიული მილიტარიზმის მსხვერპლი, არ მიაპყრონ ყურადღება იმას, რომ დასავლეთ გერმანიის ხელმძღვანელებმა გამოაცხადეს — განზრახული აქვთ ატომური იარაღით აღჭურვონ თავიანთი არმია, ხოლო ამ უკანასკნელ დღეებში ამ განზრახვას მხარი დაუჭირა ნატოს ყველა სხვა მონაწილემაც?

ეჭვი არ არის, რომ დასავლეთ გერმანიის გავლენიანი წრეები, რომლებიც ამზადებენ რევანშის იდეას და უკვე ახლა აშკარად მოითხოვენ ევროპის სახელმწიფოთა არსებული საზღვრების გადასინჯვას, ისარგებლებენ აგრეთვე თავისი მონაწილეობით „ევრატომში“ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე დაიწყონ საკუთარი ატომგულის იარაღის კეთება. საგულისხმოა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველაზე პასუხისმგებელი მოღვაწეები უკვე მოითხოვენ არ ჩამორჩნენ ატომური შეიარაღების დარგში ინგლისს. ევროპის ცენტრალურ ზონაში ნატოს სახმელეთო ჯარების სარდლის პოსტზე ფრანგი გენერლის კარპანტიეს ამასწინანდელი შეცვლა ყოფილი ჰიტლერელი გენერლით შპაიდელით თვალსაზრისვე გვიჩვენებს, თუ რა როლის შესრულებას იწყებს დასავლეთი გერმანია ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში.

საბჭოთა მთავრობას არაერთხელ მიუქცევია დასავლეთის სახელმწიფოთა ყურადღება იმ გზის საშიშროებაზე, რომლითაც მიდის განვითარება დასავლეთ გერმანიაში. მოგმართავთ რა დღეს თქვენ, ბატონო თავმჯდომარეო, მინდა ერთხელ კიდევ მივაპყრო თქვენი ყურადღება შექმნილი მდგომარეობის საშიშროებას, რომელიც ბევრად მოგვაგონებს მეორე მსოფლიო ომის წინა წლების ვითარებას. მაშინაც დასავლეთ ევროპის ბევრი მოღვაწე გულგრილად უყურებდა იმას, თუ როგორ ჭედდა იარაღს გერმანიის მილიტარიზმი, ემზადებოდა რა ომისათვის. თუ რა გამოვიდა აქედან, კარგად არის ცნობილი.

აქ მინდა გავაკეთო ერთი შენიშვნა, ბატონო თავმჯდომარეო, რათა სწორად გამიგოთ. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ გერმანიას განვიხილავდეთ როგორც საბჭოთა კავშირის ან საფრანგეთის რაღაც მუდმივ და უცვლელ მტერს. საბჭოთა მთავრობას გულწრფელად სურს დაამყაროს გერმანიასთან მშვიდობიანი თანამშრომლობისა და ნდობის ურთიერთობა და მიაჩნია, რომ ამ მიზნის მიღწევას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ევროპაში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ამჟამად არსებული ორი გერმანული სახელმწიფოდან ერთთან — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან — საბჭოთა კავშირს ნამდვილი მეგობრობისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის ურთიერთობა აქვს.

საბჭოთა მთავრობა ცოტას როდი ცდილობს, რათა კარგი, მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთანაც, და თუ საფრანგეთი ანალოგიურ მისწრაფებას გამოიჩენს, ეს მისწრაფება შეიძლება შეფასდეს მხოლოდ როგორც სავსებით გასაგები და ბუნებრივი. მაგრამ გერმანიასთან კარგი ურთიერთობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ევროპის მშვიდობის განმტკიცების ინტერესების შესაბამისი და გამოიწვევს ევროპის ხალხთა ნდობას, თუ მას თან არ ახლდება წაქეზება გერმანული აგრესიული მილიტარიზმის აღორძინებისა, რომელსაც უკვე არაერთხელ მოუტანია უბედურება ევროპის ხალხებისათვის, მათ შორის საფრანგეთის ხალხისთვისაც.

იმავე გულახდილობით, რომელიც ახასიათებდა ჩვენს მოლაპარაკებას მოსკოვში, მე მინდა, ბატონო თავმჯდომარეო, აღვნიშნო, რომ ჩემი კოლეგები და პირადად მე დიდად ვართ შეშფოთებული იმით, რომ, იცავს რა ატომური ომის მომზადების კურსს, რომელიც უცხოა ევროპის უშიშროების ინტერესებისათვის, საფრანგეთმა მიიღო გადაწყვეტილება გადასცეს თავისი ტერიტორია ამერიკის ატომური ბაზების განლაგებისათვის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ, ქმნიან რა თავიანთ ატომურ ბაზებს სხვა ქვეყნებში, ისინი, ვინც ამას აკეთებს, ცდილობენ აიცილონ მთავარი დარტყმა მათ მიერ ატომური ომის გაჩაღების შემთხვევაში და ეს დარტყმა თავს დაატეხონ ევროპის ქვეყნებს, და არცთუ უკანასკნელ რიგში საფრანგეთს. ამას არც მალავენ. მაგრამ არა ვვგონია შეიძლებოდეს, რომ ამას ეწოდოს ფრანგთა, ან ინგლისელთა, ან იტალიელთა უშიშროების უზრუნველყოფის შესაფერისი გზა. კარგი უშიშროება კია ცხოვრობდე ატომური და წყალბადის იარაღის სულ უფრო მზარდ საწყობებს შორის, რომლებითაც იფარება ევროპა.

ითვალისწინებს რა, რომ ევროპის კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნა ადვილი საქმე არ არის, სსრ კავშირის მთავრობას მაინც მიაჩნია, რომ ამ პირობებში სასიცოცხლოდ საჭიროა დაიწყოს ამ პრობლემის გადაჭრა. შესაძლოა დასაწყისისათვის საჭირო იყოს დავადგეთ მისი ნაწილობრივი გადაჭრის გზას, გამოვნახოთ და შევთანხმოთ ურთიერთ მისაღები გარდამავალი ღონისძიებანი. მაგალითად, სსრ კავშირს უკვე არაერთხელ წამოუყენებია წინადადება დაიდოს პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში შემავალ ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შორის. თუ არ შეიძლება უკვე ახლა შეთანხმება უცხოეთის ყველა ბაზის ლიკვიდაციის შესახებ, რომლებიც განლაგებულია ევროპის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, ჩვენი აზრით, საჭიროა ერთდროულად შემცირდეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალები, რომლებიც ნატოს მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე იმყოფებიან, და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები, რომლებიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე იმყოფებიან. რამდენადაც მე ვიცი, ასეთ იდეას ფართოდ განიხილავენ და ეხმაურებიან საფრანგეთის სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში.

საბჭოთა მთავრობა მზად არის აგრეთვე განიხილოს დაინტერესებულ ქვეყნებთან საკითხი იმის შესახებ, რომ ევროპაში დაწესდეს შეიარაღების შეზღუდვისა და ინსპექციის ზონა, რომელშიც შედის გერმანიის ორივე ნაწილის, ანალოგიურ ზონად ნაწილის, ანალოგიურ ზონად ნაწილის, ანალოგიურ ზონად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გი მოლესადმი

(დასასრული)

მე ვფიქრობ, თქვენ დამეთანხმებით, რომ ასეთ პირობებში ახალი ომის საშინელებათა თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის განხორციელება მიუხედავად მათი სოციალური და პოლიტიკური სისტემებისა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს შეესაბამება ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, ცხოვრობენ ისინი სოციალიზმის თუ კაპიტალიზმის პირობებში, აღმოსავლეთში თუ დასავლეთში.

არის ამ პრობლემის მეორე ასპექტიც. გამალებული შეიარაღება იწვევს საბიჯედრო ხარჯების ზრდას, რაც მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნების ეკონომიკას, იწვევს უდიდეს მატერიალურ ფასეულობათა უაზრო ფლანგვას და აუტანელ ტვირთს აკისრებს გადასახადის გადამხდელებს. მე მინდა მოგაგონოთ, ბატონო თავმჯდომარევ, თქვენი განცხადება იმის შესახებ, რომ „ამჟამად მთავარი უნდა იყოს მოლაპარაკება საყოველთაო ერთდროული და სასტიკად კონტროლირებული განიარაღების მიზნით“. ჩვენ ვიზიარებთ ამ აზრს. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მოლაპარაკების დროს 1956 წლის მაისში ჩვენი თანხმობები შეთანხმდნენ განაგრძონ მეცადინეობა იმ მიზნით, რომ მიიღონ გადაუდებელი ღონისძიებანი არსებითი შემცირების მიმართულებით სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების შესაბამისი საერთაშორისო კონტროლის პირობებში და ამასთან ჯეროვნად შემცირდეს შეიარაღება და უწინარეს ყოვლისა შემცირდეს ხუთი დიდი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები და შეიარაღება. მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ მეგონა — ჩვენი შეთანხმება ძალაშია დღესაც.

როგორც თქვენ იცით, საბჭოთა კავშირმა მიმდინარე წლის 18 მარტს და 30 აპრილს განიარაღების ქვეკომიტეტის განსახილველად შეიტანა ახალი წინადადებანი, რომლებშიც გათვალისწინებულია აგრეთვე დასავლეთის სახელმწიფოების, მათ შორის საფრანგეთის სურვილები. ეს წინადადებანი, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, შეიძლება იყოს იმის საფუძველი, რომ მიღწეულ იქნას განიარაღების პრობლემის, მათ შორის ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის განხორციელების, სახელმწიფოთა შეიარაღებიდან ამ იარაღის ამოღების, მისი მარაგის ლიკვიდაციის, აგრეთვე შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების არსებითი შემცირების პრობლემის შეთანხმებული გადაწყვეტა.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ისეთი საკითხი, როგორიც არის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის საკითხი, მიზანშეწონილია გამოიყოს განიარაღების საერთო პრობლემიდან, რათა დაუყოვნებლივ იქნას მიღწეული შეთანხმება ატომგულის იარაღის გამოცდის სრულ ან თუნდაც დროებითი შეწყვეტის შესახებ. მე ვერ ვხედავ ვერავითარ საფუძვლიან მიზეზს, რომელიც ხელს უშლიდეს ამ საკითხზე გადაწყვეტილების ახლავე მიღებას. გულახდილად რომ ვთქვათ, ბატონო თავმჯდომარევ, ჩვენთვის გაურკვეველია მიზეზები, რომლებიც აიძულებენ საფრანგეთს, რომელიც, როგორც ცნობილია, არ აწარმოებს საკუთარ ატომგულის იარაღს, უარყოს წინადადებანი ამ იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ აკრძალვის შესახებ.

ვფიქრობ, თქვენ დაეთანხმებით იმას, რომ ახლა არის ობიექტური წანამძღვარები, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება განიარაღების დარგში თუნდაც ნაწილობრივ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რაც უეჭველია, შემდგომში გააადვილებს მთლიანად ამ პრობლემის გადაჭრას. ნება მიბრძანეთ გამოვთქვა იმედი, რომ საფრანგეთის მთავრობა მხარს დაუჭერს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია განიარაღების შესახებ შეთანხმების რაც შეიძლება მალე მიღწევა.

შეშფოთების ერთ-ერთი მთავარი კერა ამჟამად ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონია. მოსკოვის მოლაპარაკების მსვლელობაში ჩვენ სერიოზული ყურადღება დავუთმეთ ამ საკითხს და შევთანხმდით მიგვეღო ღონისძიებანი ან რაიონში მშვიდობის განსამტკიცებლად. სამწუხაროდ, საფრანგეთის მთავრობა შემდეგ სხვა გზით წავიდა და ყური არ დაუგდო ჩვენს მეგობრულ რჩევას. ამჟამად ვითარება ამ რაიონში კვლავ მნიშვნელოვნად გაუარესდა. იორდანიის ამბები გვიჩვენებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებმაც გამოაცხადეს იგრეთწოდებული „ეიზენჰაუერის დოქტრინა“, აშკარად ერევიან ამ რაიონის ქვეყნების საშინაო საქმეებში და მიზნად ისახავენ არაბული აღმოსავლეთის კოლონიურ ექსპანსიას და ხალხების ექსპლოატაციას.

სსრ კავშირის მთავრობას მიაჩნია, რომ საფრანგეთის ინტერესები, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ინტერესები, მოითხოვს მდგომარეობის ნორმალიზაციას ამ რაიონში. ამის პირობები, ჩვენი აზრით, შეიძლება შეიქმნას, თუ დიდი სახელმწიფოები — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები — იკისრებენ გარკვეულ ვალდებულებებს, მსგავსად იმ ვალდებულებებისა, რომლებიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის 11 თებერვლის პროექტში „ძირითადი პრინციპები სსრ კავშირის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობათა დეკლარაციისა ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების და ამ რაიონის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საკითხზე“. შეიძლება მხოლოდ სინანული გამოვთქვათ, რომ საფრანგეთის მთავრობამ მხარი არ დაუჭირა ამ წინადადებას.

საბჭოთა მთავრობას ამჟამადაც მიაჩნია, რომ დეკლარაციის პროექტში აღნიშნული პრინციპების გამოცხადება უაღრესად სრულად შეუწყობდა ხელს ახლო და შუა აღმოსავლეთის მოუწესრიგებელი პრობლემების გადაჭრას. მე მინდა გამოვთქვა ჩემი ღრმა რწმენა, რომ ძალის გამოყენებაზე უარის თქმა და აზრთა დამშვიდებული გაზიარება სადავო საკითხებზე, რომლებიც ამ რაიონში წამოიჭრება ხოლმე, საშუალებას მოგვცემს გამოვსახოთ ახლო აღმოსავლეთის პრობლემების გადაჭრა და თავიდან ავიცილოთ საფრთხე, რომელიც მშვიდობას მოელის ახლო და შუა აღმოსავლეთში, თუმცა, როგორც მე მგონია, ამ საფრთხეს ბევრი ჯეროვნად ვერ აფასებს, თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რომ ასე დაუფიქრებლად აჩხარუნებენ იარაღს ამ რაიონში.

ჩვენ სავსებით შეგნებული გვაქვს, რომ საფრანგეთს დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური ინტერესები აქვს ახლო და შუა აღმოსავლეთში და, კერძოდ, მას ესაჭიროება ნავთობით მომარაგება სუეცის არხის საშუალებით. მაგრამ, როგორც ჩვენ გვგონია, ეს გარემოება კიდევ უფრო გვიკარნახებს, რომ საჭიროა არ დაუშვათ მოვლენათა საშიში განვითარება ამ რაიონში. თუ მშვიდობის საქმეს დავიცავთ და არ ვეცდებით ვითარების გართულებას, უნდა ვაღიაროთ, რომ ის საკითხებიც, რომლებიც ეხება საფრანგეთის ეკონომიურ ინტერესებს ამ რაიონში, უნდა წყდებოდეს არა ძალის გამოყენების გზით, არამედ სახელმწიფოთა შორის ნორმალური ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების გზით.

საბჭოთა მთავრობის აზრით, დეკლარაცია სუეცის არხის შესახებ, რომელიც ეგვიპტის მთავრობამ 24 აპრილს გამოაქვეყნა, კარგი ბაზაა იმისათვის, რომ სუეცის საკითხი მოწესრიგდეს ყველა ქვეყნის სასარგებლოდ.

როგორც თქვენ გახსოვთ, ჩვენი შარშანდელი შეხვედრის დროს მოსკოვში ჩვენ არაერთგზის შევეხეთ აგრეთვე ალჟირის საკითხს. ჩვენ გვესმის, რომ საფრანგეთს დიდი სიძნელეები აქვს, რომლებიც დაკავშირებულია ამ მტკივნეული საკითხის გადაჭრასთან.

სრულიადაც არა მსურს რაიმე სახით ჩავერიო საფრანგეთის საქმეებში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნებას მივცემ თავს მოგახსენოთ, ბატონო თავმჯდომარევ, ჩვენი გულახდილი აზრი: ჩვენ მიგვაჩნია, რომ რაც უფრო დიდხანს გააჭიანურებს საფრანგეთი ალჟირის საკითხის გადაჭრას, მით უფრო მეტს წააგებს იგი ამით. ახლო წარსულის სამწუხარო გამოცდილება მოწმობს, თუ რა საშიშროებას იწვევს ომისა და რეპრესიების პოლიტიკა იმ ხალხების მიმართ, რომლებიც თავისუფლებასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას ესწრაფვიან. ამასთანავე საფრანგეთსა და ალჟირს შორის უფსკრულის გაღრმავებით, რაც ამ პოლიტიკის შედეგად ხდება, მოგებული არიან უწინარეს ყოვლისა ის ძალები, რომლებიც უკვე ამჟამად ისწრაფვიან, ისახავენ რა თავიანთ ვიწრო მიზნებს, დაეპატრონონ ჩრდილოეთ აფრიკის უმდიდრეს რესურსებს.

საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ გამოინახება ამ პრობლემის მშვიდობიანი დემოკრატიული გადაჭრა, რომელიც დროების სულისკვეთების შესაბამისი იქნება და რომელიც საკითხებით გაითვალისწინებს ალჟირელი ხალხის კანონიერ უფლებებსა და ეროვნულ ინტერესებს.

დასასრულ ნება მიბოძეთ, ბატონო თავმჯდომარევ, შევეხო ახლა უშუალოდ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარების ზოგიერთ საკითხს.

საჭირო არ არის განზრახ არ დავინახოთ ის, რომ შარშან შემოდგომაზე მომხდარმა საერთაშორისო ამბებმა თავისი დაღი დაასვა ურთიერთობას საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობაში გაჩნდა ერთგვარი დაძაბულობის, უნდობლობისა და სიცივის ელემენტები. მთელი პასუხისმგებლობით უნდა ვთქვა, რომ ეს საბჭოთა კავშირის მიზეზით არ მომხდარა. მაგრამ აზრთა რა დროებითმა სხვადასხვაობამაც უნდა დაამძიმოს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა, ჩვენ არა გვაქვს უფლება დავივიწყოთ, რომ ჩვენი ხალხების მეგობრობა არც დღეს წარმოშობილა და არც გუშინ. იგი წარმოიშვა ჩვენი ხალხების ეროვნული ინტერესების ერთობის საფუძველზე და ამიტომ აქვს მტკიცე და, ნებას მივცემ თავს ვთქვა, სახელოვანი ტრადიციები. მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ჩვენს ქვეყნებს აკავშირებს, განმტკიცებულია რუსი და ფრანგი ხალხების არაერთგზისი ერთობლივი ბრძოლით საერთო ტრის წინააღმდეგ. შემთხვევითი როდია, რომ ორ მსოფლიო კონფლიქტში ჩვენი ქვეყნების ხალხები ერთ ბანაკში იყვნენ. ჩვენი ქვეყნების ეკონომიურ და სავაჭრო ურთიერთობას ყოველთვის მტკიცე ხასიათი ჰქონდა და სერიოზულ სარგებლობას აძლევდა ორივე მხარეს.

შეიძლება მოვიყვანოთ რუსეთისა და საფრანგეთის მეცნიერთა და კულტურის მოღვაწეთა მჭიდრო ნაყოფიერი თანამშრომლობის ბევრი მაგალითი. საკმარისია გავიხსენოთ პასტერისა და მეჩნიკოვის, ფლობერისა და ტურგენევის, როლანისა და გორკის მეგობრობა. ეს მშვენიერი ტრადიციები უნდა გაგრძელდეს.

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს ფრანგული კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების მიღწევებს. შემთხვევითი როდია, რომ საბჭოთა მუზეუმებს აქვთ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კოლექცია ფრანგული ხელოვნებისა. საზღვარგარეთულ ლიტერატურაში, რომელიც ჩვენში გამოდის, ყველაზე დიდი ხვედრითი წონა აქვს ფრანგულ მხატვრულ ლიტერატურას. რად ღირს, მაგალითად, მარტო ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში სსრ კავშირში გამოცემულია ფრანგ ავტორთა 122 მილიონი ცალი წიგნი.

არ შეიძლება არ მივესალმოთ ჩვენს ქვეყნებს შორის დღეს არსებულ ურთიერთობის ისეთ ფორმებს, როგორიც არის მსახიობების, მეცნიერთა დელეგაციების გაცვლა, გამოფენათა ურთიერთ მოწყობა და სხვ.

უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის პარლამენტებს შორის კონტაქტის დაცვას.

სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობის განვითარებაში არსებითი და სასარგებლო ნაბიჯი იყო ის, რომ მიმდინარე წლის თებერვალში დაიდო საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ჩვენს ქვეყნებს შორის საქონელბრუნვის მოცულობის სამჯერ გადიდებას 1955 წელთან შედარებით. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს სრულიადაც არ არის ზღვარი. ჩვენ შეგვიძლია გაცილებით უფრო ფართო და სტაბილური სავაჭრო ურთიერთობა დავამყაროთ ჩვენს ქვეყნებს შორის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ისე რომ არ იყოს რაიმე დისკრიმინაცია. უნდა ითქვას, რომ ამჟამად არსებული აკრძალვა და სხვა ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებანი საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ვაჭრობის განვითარების გზაზე სერიოზულ ზიანს აყენებენ ეკონომიურ ურთიერთობას ჩვენს ქვეყნებს შორის და რომ, მაშასადამე, რაც უფრო მალე აღმოიფხვრება ისინი, მით უფრო მეტად იგრძნობს ჩვენი ორი ქვეყანა საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ვაჭრობის განვითარებით გამოწვეულ სარგებლობას.

მე ვფიქრობ, რომ შეიძლებოდა გადაგვდგა ზოგიერთი ახალი ნაბიჯი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ვაჭრობის აქტივიზაციას ჩვენს ქვეყნებს შორის. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, მაგალითად, იმაზე, რომ მოსკოვსა და პარიზში გავხსნათ სავაჭრო პალატები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის გაფართოების შესაძლებლობის უფრო ღრმა და სისტემატურ შესწავლას. როგორც ჩანს, აგრეთვე სასარგებლო იქნებოდა პერიოდულად მოგვეწყო სსრ კავშირსა და საფრანგეთში საფრანგეთისა და საბჭოთა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო გამოფენები.

ნება მიბოძეთ, ბატონო თავმჯდომარევ, აგრეთვე მოგაგონოთ, რომ საბჭოთა კავშირმა ამას წინათ წინადადებით მიმართა ევროპის ყველა ქვეყანას ითანამშრომლონ სათბობ-ენერგეტიკის ბაზის განვითარების საქმეში იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას დაძაბულობა სათბობის ბალანსში, დაძაბულობა, რომელსაც განიცდის ევროპის ბევრი სახელმწიფო, აგრეთვე ეკონომიური და ფინანსური ურთიერთ დახმარების გაწევის დარგში. ჩვენ გვგონია, რომ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს ამ იმმართულებითაც შეუძლიათ გამონახონ ნიადაგი ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობისათვის.

მდიდარი შესაძლებლობებია იმისთვისაც, რომ ჩვენმა ქვეყნებმა ითანამშრომლონ მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში. მე ვფიქრობ, რომ საფრანგეთისათვის, სადაც სამრეწველო მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხი აქტუალური საკითხია, საინტერესო იქნებოდა გარკვეული პრაქტიკული გამოცდილების გაცვლა, რომელიც სსრ კავშირმა ამ დარგში შეიძინა. ჩვენთვის კი ინტერესს წარმოადგენს თქვენი გამოცდილება ამ დარგში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ორივე ქვეყნის რწმუნებულებს შეუძლიათ შეხვდნენ ერთმანეთს და განიხილონ ეს პრობლემა და, კერძოდ, განიხილონ საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია დაიდოს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის შესაბამისი შეთანხმება.

როგორც ცნობილია, კულტურული და მეცნიერული ურთიერთობის დარგში ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული ბევრი ღონისძიება, რომლებიც ჩვენ შარშან შევათანხმეთ, თუმცა მათი რეალიზაციისათვის რაიმე ობიექტური დაბრკოლება არ არსებობს. ამასთან დაკავშირებით მინდა მოგმართოთ წინადადებით, რომ უახლოეს ომავალში მოსკოვში ან პარიზში მოეწყოს ორივე ქვეყნის კომპეტენტურ წარმომადგენელთა შეხვედრა იმ მიზნით, რომ შევჯამოთ ამ საკითხებზე ჩვენი შეთანხმების შესრულების შედეგები, გამოვიმუშაოთ მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული გაცვლის შემდგომი განვითარების პროგრამა და მოვამზადოთ კულტურული თანამშრომლობის შესახებ კონვენციის ტექსტი, კონვენციისა, რომლის დადებაც გათვალისწინებულია ჩვენი ორი მთავრობის 1956 წლის 19 მაისის განცხადებით.

უდიდესია ჩვენი ხალხების ბიოწრაფება ყოველმხრივი თანამშრომლობისა და მტკიცე მეგობრობისადმი. საეჭვო არ არის, რომ სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის ასეთი თანამშრომლობა ბევრად გააჯანსაღებდა ვითარებას ევროპაში და ამას მარტო საბჭოთა და ფრანგი ხალხები როდი მოიწონებდნენ. ამიტომ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენი მთავრობა, რომელსაც სათავეში უდგანან საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ლიდერები, რომლებსაც ბევრ სხვა პოლიტიკურ მოღვაწეზე უკეთ უნდა ესმოდეთ მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესები, დაადგება საფრანგეთის რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის თანამშრომლობის განმტკიცების გზას.

საბჭოთა მთავრობა აკეთებდა და კვლავაც გააკეთებს ყველაფერს, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობა განმტკიცდეს და განვითარდეს. მე და ჩემს კოლეგებს კვლავ მიგვაჩნია, რომ შარშანდელმა მოსკოვის მოლაპარაკებამ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარების სწორი პერსპექტივა მოგვცა, და ჩვენ სასარგებლოდ მიგვაჩნია განვაგრძოთ თანამშრომლობის ურთიერთ მისაღები ფორმების ერთობლივი ძიება.

საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ ზემომოყვანილ მოსაზრებებს სათანადო ყურადღებით განიხილავთ თქვენ და თქვენი კოლეგები, და თავის მხრივ მზად არის შეისწავლოს წინადადებანი საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის განვითარების საკითხებზე, წინადადებანი, რომელთა გამოთქმასაც მოისურვებს საფრანგეთის მთავრობა.

დიდი პატივისცემით

ნ. ბულგანინი

მის აღმატებულებას
გი მოლეს
საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
პარიზი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ფინეთში გაემგზავრა

ფინეთის პარლამენტსა და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს შორის მოხდა წერილების გაცვლა. ფინეთის წერილი, რომელსაც ხელს აწერენ პარლამენტის თავმჯდომარე ვ. ი. სუქსელაინენი, თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ლესკინენი და ტ. კუიალა, შეიცავდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსადმი მიწვევას — გაეგზავნა წარმომადგენლები ფინეთის პარლამენტის მომავალ ორმოცდაათი წლის იუბილეზე, რომელიც 23 მაისს აღინიშნება.

საპასუხო წერილში, რომელსაც ხელს აწერენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე პ. პ. ლობანოვი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. ტ. კომაროვი, ნათქვამი იყო, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დიდი კმაყოფილებით მიიღო ფინეთის პარლამენტის თავაზიანი მიწვევა.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაავალა ჰელსინკში იუბილეს დღესასწაულზე დასწრება ოთხი კაცისაგან შემდგარ დელეგაციას. დელეგაციაში შედიან: დელეგაციის მეთაური — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე პ. პ. ლობანოვი — ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის პრეზიდენტი; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ვ. ს. ბალაკინა — ლენინგრადის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. კ. გრენი — ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ე. ჰუუსარი — კარელიის ასსრ კონდოპოგის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატის ოსტატი.

ფინეთში მოგზაურობაში დელეგაციას თან ახლავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანცელარიის უფროსის მოადგილე ვ. გ. ვისოტინი.

20 მაისს საღამოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია მოსკოვიდან მატარებლით გაემგზავრა ჰელსინკში. (საკდესი).

კ ო მ უ ნ ი კ ე

ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტის დოქტორ სუკარნოს მოწვევით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა საპასუხო ვიზიტი გააკეთა ინდონეზიის რესპუბლიკაში 1957 წლის 6-დან 19 მაისამდე.

მოგზაურობისას კ. ე. ვოროშილოვს ახლდნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი ვ. პ. ელიუტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის ელჩი ინდონეზიაში დ. ა. ჟუკოვი.

კ. ე. ვოროშილოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა იმოგზაურეს ინდონეზიაში და კუნძულ იავაზე ნახეს ჯაკარტა, ბოგორი, ჩიპანასი, ბანდუნგი, ჯოკიაკარტა, სოლო, სურაბაია, კუნძულ ბალიზე დენპასარი, კუნძულ სუმატრაზე მედანი და სხვა ადგილები.

საბჭოთა სტუმრებმა დაათვალიერეს ინდონეზიის ეკონომიური და მეცნიერული ცენტრები, აგრეთვე ისტორიული და კულტურული ძეგლები. მოგზაურობაში ინდონეზიელი ხალხი აღტაცებით და გულითადად მიესალმებოდა საბჭოთა კავშირის წარმოგზავნილთ.

ნიშნად დიდი პატივისცემისა ინდონეზიელი გმირი მებრძოლებისადმი, რომლებიც დაიღუპნენ თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, კ. ე. ვოროშილოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ინახულეს გმირების სასაფლაოები „კალიბატა“ ჯაკარტაში და „სემაკი“ ჯოკიაკარტაში, აგრეთვე დამოუკიდებლობის მონუმენტი ჯაკარტაში და გვირგვინებით შეამკეს ისინი.

ინდონეზიაში ყოფნის დროს კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლებნი შ. რ. რაშიდოვი, ვ. პ. ელიუტინი, ნ. ტ. ფედორენკო და დ. ა. ჟუკოვი შეხვდნენ პრეზიდენტ სუკარნოს, პრემიერ-მინისტრს ჯუანდას, საგარეო საქმეთა მინისტრს სუბანდრიოს, ინფორმაციის მინისტრს სუდიბიოს, განათლების, აღზრდისა და კულტურის მინისტრს პრიიონოს, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს აზიზ სალეჰს, რეკონსტრუქციისათვის ხალხის ძალების ძობილიზაციის მინისტრს ხანაფის, სსრ კავშირში ინდონეზიის ელჩს მარამსს და ინდონეზიის ელჩს საუბრებს ჰქონდათ მეგობრული ხასიათი.

ეს შეხვედრები და საუბრები მანდინარეობდა გულითადობის, სრული გაგებისა და ურთიერთ პატივისცემის ატმოსფეროში, შეეხნენ ორივე ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობას, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო პრობლემას. ამ საუბრების საფუძველი იყო აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციის სულისკვეთება და პრინციპები, რომლებიც დადასტურებულია აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ერთობლივ განცხადებაში, რასაც ხელი მოაწერეს 1956 წლის 12 სექტემბერს საბჭოთა კავშირში პრეზიდენტ სუკარნოს ვიზიტის დროს.

მხარეებმა აზრები გაუზიარეს ერთმანეთს დასავლეთ ირიანის საკითხზე. კვლავ დადასტურდა, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ინდონეზიის მთავრობისა და ხალხის მოთხოვნას ინდონეზიის რესპუბლიკასთან დასავლეთ ირიანის შეერთების შესახებ.

საუბრებში მიღწეულ იქნა საერთო აზრი სავაჭრო ურთიერთობის, აგრეთვე ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ, რაც სასარგებლო წვლილს შეიტანს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ხალხებს შორის კარგი ურთიერთობის განვითარების საქმეში.

მიღწეულია ერთსულოვანი აზრი, რომ დელეგაციებისა და ტექნიკური ექსპერტების და სხვა სპეციალისტების ჯგუფების მოგზაურობა, სპორტსმენებისა და ტურისტების მოგზაურობა, აგრეთვე საპარლამენტო დელეგაციების გაცვლა განამტკიცებს შემდგომ ურთიერთობას ორივე ქვეყანას შორის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მოგზაურობა ინდონეზიაში და ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტის სუკარნოს შარშანდელი მოგზაურობა სსრ კავშირში კიდევ უფრო განამტკიცებს კარგ ურთიერთგაგებასა და მეგობრულ ურთიერთობას ორივე ქვეყანას შორის. ამას აგრეთვე მოჰყვება სხვადასხვა დარგში თანამშრომლობა ორივე ქვეყნის ურთიერთსასარგებლოდ და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საკეთილდღეოდ.

ჯაკარტა, 1957 წლის 19 მაისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი ხანოიში ჩავიდა

ხანოი, 20 მაისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლებნი — უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი ვ. პ. ელიუტინი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. ტ. ფედორენკო ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის ელჩის მ. ვ. ზიმიანინის მეთაურობით, დიპლომატიური კორპუსის წევრები, ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიასთან არსებული დელეგაციების მეთაურები და წევრები, ადგილობრივი და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

9 საათი და 35 წუთია ადგილობრივი დროით. წამით აეროდრომზე მყარდება საზეიმო სიწყნარე, რასაც არღვევს მხოლოდ იმ თვითმფრინავის მოტორების მზარდი გუგუნი, რომელზეც კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები იმყოფებიან. გაისმის მძლავრი ტაში, ამოძრავდა და შეირხა აუარებელი სხვადასხვაფერი ალმები.

ტაშისა და მისალმებათა ახალი ძალით გრიალში თვითმფრინავიდან ჩამოდიან კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი და მისი თანამგზავრები. კ. ე. ვოროშილოვი და ხო ში მინი ხელს ართმევენ, მაგრად ეხვევიან და სამგზის ეამბორებიან ერთმანეთს. ბავშვებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს ძვირფას სტუმარს.

დიდებულად ჟღერს სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნები. ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო საპატიო ყარაულის უფროსის პატაკი, ხო ში მინისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის გენერალ ვო ნგუენ ზიაპის თანხლებით ჩამოუარა ხანოის გარნიზონის ჯარისკაცთა მწყობრს და მიესალმა მათ. პასუხად გაისმა ვიეტნამის გმირი სახალხო არმიის მეომრების მკაფიო მისალმება.

კ. ე. ვოროშილოვმა ხელი ჩამოართვა მთავრობის წევრებს, საზოგადოებრივი

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი ხანოიში ჩავიდა

(დასასრული)

ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, გაეცნო დიპლომატიური კორპუსის წევრებს, ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიის მეთაურებსა და წევრებს, საბჭოთა საელჩოს მუშაკებს, საბჭოთა სპეციალისტებს.

ოვაციებმა და აღტაცების შეძახილებმა ახალი ძალით იქუხა, როცა ამხანაგი ვოროშილოვი მიუახლოვდა მოსახლეობის წარმომადგენელთა რიგებს. ძვირფას სტუმარს უწვდიან ყვავილების მშვენიერ თაიგულებს, განუწყვეტლივ გაისმის ფოტოაპარატებისა და კინოკამერების საკეტების ჩხაკუნი.

კ. ე. ვოროშილოვი და ხო ში მინი ტრიბუნაზე ადიან.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ხო ში მინმა.

ხო ში მინის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო თავმჯდომარეო!

ძვირფასო საბჭოთა ამხანაგებო!

დღეს ვიეტნამელი ხალხი უდიდესი სიხარულის გრძნობით გხვდებათ თქვენ, საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს, როგელიც ვიზიტით ჩამობრძანდით ჩვენთან და ჩვენს ხალხს გადაეცით მოძმე საბჭოთა ხალხის ძეგობრული გრძნობები.

ნება მიბოძეთ ვიეტნამელი ხალხის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის სახელით მხურვალედ მოგესალმოთ. საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა წარმატებით მოახდინეს სოციალისტური რევოლუცია და ახლა სწრაფად მიდიან წინ კომუნიზმის მშენებლობის გზით და ამით განთავისუფლების გზას უშუქებენ მთელი მსოფლიოს მშრომელ კლასებსა და ჩაგრულ ხალხებს.

ვიეტნამელი ხალხი მიდის იმავე ნათელი გზით, რისი მეოხებით მან წარმატებით მოახდინა აგვისტოს რევოლუცია, გაიმარჯვა წინააღმდეგობის ომში და დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოიპოვა ჩრდილოეთ ვიეტნამისათვის.

ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის დღიდან საბჭოთა კავშირი ჩინეთთან და სხვა მოძმე ქვეყნებთან ერთად ვიეტნამელ ხალხს უწევს უანგარო დახმარებას ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის აღდგენისა და განვითარების საქმეში.

ვიეტნამელი ხალხი დიდ მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირის ხალხს, მთავრობასა და კომუნისტურ პარტიას.

ძვირფასო ამხანაგო თავმჯდომარეო!

ვიეტნამელ ხალხს ძლიერ უყვარხართ, იმიტომ რომ თქვენ ხართ დიდი საბჭოთა ხალხის წარმომადგენელი, იმიტომ რომ თქვენ მთელი თქვენი სიცოცხლის განმავლობაში იბრძვით კომუნისტური პარტიის საქმისათვის, მუშათა კლასის საქმისათვის, საბჭოთა ხალხის საქმისათვის, იბრძვით კაცობრიობის მშვენიერი მომავლისათვის.

ვიეტნამელ ხალხს ძლიერ უყვარხართ, იმიტომ რომ თქვენი ვიზიტი ვიეტნამში უეჭველად შეუწყობს ხელს ვიეტნამისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის ძმური მეგობრობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეს.

გაუმარჯოს ვიეტნამისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის ურღვევ მეგობრობას! გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს ერთობას სოციალიზმის ქვეყნებს შორის, მშვიდობისათვის მებრძოლ ყველა ქვეყანას შორის!

ვუსურვებ ამხანაგ ვოროშილოვს ჯანმრთელობასა და მრავალ წელს სიცოცხლეს!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

მისალმების ყოველ სიტყვას იმეორებენ მძლავრი შეძახილებით „მუონ ნამ-მუონ ნამ!“ — „გაუმარჯოს, გაუმარჯოს!“.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა კ. ე. ვოროშილოვმა, რამაც მრავალგზისი ოვაცია გამოიწვია.

კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

ძვირფასო პრეზიდენტო, ამხანაგო ხო ში მინ!

ძვირფასო ამხანაგებო, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელოვანი დედაქალაქის ხანოის მოქალაქენო!

ჩვენ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოვედით მეგობრობის ვიზიტით დიდად პატივცემულ პრეზიდენტ ამხანაგ ხო ში მინის თავაზიანი მოწვევით.

მე და თანმხლებ ამხანაგებს დიდ სიხარულს გვანიჭებს, რომ შესაძლებლობა გვაქვს ვნახოთ თქვენი ქვეყანა, გავიცნოთ გმირი ვიეტნამელი ხალხი, რომელიც ახლა ჩაბმულია მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში.

ვიეტნამელმა ხალხმა, როგორც ცნობილია, თავისი მძლავრი ძალები გამოიჩინა მრავალი წლის განმათავისუფლებელ ბრძოლაში კოლონიზატორთა წინააღმდეგ, მოიპოვა გამარჯვება და შექმნა თავისი სახალხო სახელმწიფო. ახლა იგი მტკიცედ დაადგა თავისი სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების, თავისი ცხოვრების დონის ამაღლების გზას და, უეჭველია, ბეჯითი შრომით ახალ თვალსაჩინო გამარჯვებებს მოიპოვებს სოციალისტური მშენებლობის გზაზე.

სასიამოვნოა, ძვირფასო ამხანაგებო, აღინიშნოს დღეს, რომ საბჭოთა კავშირსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის არსებობს და ვითარდება ძმური მეგობრობა, რომელიც დამყარებულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე. მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში ჩვენი ქვეყნები მიდიან ერთად, მხარდამხარ, ერთმანეთს უწევენ დახმარებასა და მხარდაჭერას. ჩვენი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და ახალი ომის თავიდან აცილება. ჩვენ ერთად მოვითხოვთ კოლექტიურ უშიშროებასა და ყველა სახელმწიფოს მშვიდობიან თანაარსებობას. ჩვენი ხალხები იბრძვიან შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისათვის, ატომური იარაღის გამოყენებისა და მისი გამოცდის სრული აკრძალვისათვის.

ჩვენი ქვეყნების ძმური მეგობრობა წარმოადგენს ჩვენი მძლავრი სოციალისტური ბანაკის ყველა სოციალისტური ქვეყნის მეგობრული დარაზმვისა და ერთობის დიდმნიშვნელოვან რგოლსა და ერთ-ერთ მკაფიო მაგალითს.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, საბჭოთა ხალხის, საბჭოთა მთავრობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პირადად ჩემი და თანმხლები ამხანაგების სახელით გმირ ვიეტნამელ ხალხს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, ვიეტნამის მომძე მშრომელთა პარტიას და ვიეტნამის სამამულო ფრონტს გადავცე ძმური სალამი და შედნიერების საუკეთესო სურვილები.

ვსარგებლობ სასიამოვნო შემთხვევით და გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ამხანაგ ხო ში მინსა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას თქვენს დიდებულ ქვეყანაში მოწვევისათვის.

სულით და გულით მადლობას ვუძღვნით ყველა აქ დამსწრე ამხანაგს გულთბილი, გულითადი შეხვედრისათვის.

გაუმარჯოს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს გმირ ვიეტნამელ ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ვიეტნამელი ხალხის ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს და მრავალ წელს ცოცხლობდეს ვიეტნამელი ხალხის ერთგული შვილი, თქვენი დიდად პატივცემული პრეზიდენტი და ჩვენი ძვირფასი მეგობარი ამხანაგი ხო ში მინი!

(ყველანი ერთსულოვნად იმეორებენ მისასალმების სიტყვებს).

კ. ე. ვოროშილოვი და ხო ში მინი ღია ავტომანქანაში სხდებიან და მოტოციკლისტების თანხლებით გადიან ავტოსტრადაზე, რომელიც ქალაქისაკენ მიდის. სტუმრებს პირველნი მიესალმებიან გარეუბან ჟია-ლამის მცხოვრენი. გარშემოა აუარებელი დროშები, ყვავილები, გაისმის მისალმებათა მქუხარე შეძახილები ამხანაგების კ. ე. ვოროშილოვისა და ხო ში მინის პატივსაცემად.

მანქანა შედის წითელი მდინარის ორი კილომეტრი სიგრძის ხიდზე, შემდეგ მიდის დედაქალაქის ქუჩებით. შენობებზეა კ. ე. ვოროშილოვისა და პრეზიდენტ ხო ში მინის პორტრეტები, ქუჩების გარდიგარდმო გაჭიმულია წითელი ტილოები. ტილოებს რუსულად და ვიეტნამურად აწერია:

„გაუმარჯოს ვიეტნამისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას! გაუმარჯოს სოციალიზმის ბანაკის ურღვევ ერთობას საბჭოთა კავშირის მეთაურობით!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

მხურვალე სალამი თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს!“.

ყოველი მხრიდან მოისმის მისასალმებელი შეძახილები კ. ე. ვოროშილოვისა და პრეზიდენტ ხო ში მინის პატივსაცემად („ჩუ ტიკ ვოროშილოვ მუონ ნამ! ხო ჩუ ტიკ მუონ ნამ! ხოან ხო!“ — „გაუმარჯოს პრეზიდენტ ვოროშილოვს! გაუმარჯოს პრეზიდენტ ხოს! ვაშა!“).

კ. ე. ვოროშილოვი და ხო ში მინი მანქანაში ფეხზე დგანან და მიესალმებიან დედაქალაქის მოსახლეობას, უპასუხებენ გამარჯვების შეძახილებზე. მისასალმებელ შეძახილებში, ყვავილებით დაფარული წინა მანქანა ნელა შედის პრეზიდენტის რეზიდენციაში, სადაც კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები იქნებიან ხანოიში მათი ყოფნის დროს.

კ. ე. ვოროშილოვსა და მის თანმხლებ პირებს სულ 100 ათასზე მეტი კაცი შეხვდა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. მ. ლაბახუას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. არქიპო მირონის-ძე ლაბახუა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. როსტიაშვილი.

ქ. თბილისი. 1957 წლის 21 მაისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კონდრატე სოკრატის-ძე ციმაკურიძე განთავისუფლებულ იქნას საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. როსტიაშვილი.

ქ. თბილისი. 1957 წლის 21 მაისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ზ. ა. კვაჭაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ზინაიდა არსენის ასული კვაჭაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და ვაჭრობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. როსტიაშვილი.

ქ. თბილისი. 1957 წლის 21 მაისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ვ. ბ. ქერქაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე ქერქაძე განთავისუფლებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. როსტიაშვილი.

ქ. თბილისი. 1957 წლის 21 მაისი.

თბილისის კერამიკოსების შრომითი წარმატება

წელს, როგორც კი ამ საწარმოს კოლექტივი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაება, მუშაობს მკვეთრი გაუმჯობესება დაეტყო. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. შემდგომი დაოსტატებისათვის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები იგზავნებოდნენ კუიბიშევის, სმოლენსკის, კუჩინოსა და სხვა ქალაქების კერამიკულ ქარხნებში. ამ ღონისძიებამ საგრძნობლად გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. კერამიკული ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებელი ხელი შეუწყო აგრეთვე იმან, რომ გამართეს ახალი მანქანა-დანადგარები. თიხის მასის დამამზადებელ საამქროში მასის ასარევი ძველი მოწყობილობა ახლით შეიცვალა. ფილების საამქროში მოაწყეს საგენტილაციო დანადგარები.

ქაშანურის სანიტარულ ნაკეთობათა ჩამოსხმის ახლებურმა მეთოდმა, რომელიც აქ დანერგეს, მინიმუმამდე შეამცირა წუნი და საგრძნობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება. ახლა აქ ჩამოსხმის ჰორიზონტალური მეთოდის ნაცვლად, რაც მეტ საწარმოო ფართობს მოითხოვდა, ვერტიკალური მეთოდს იყენებენ და ერთ და იმავე ფართობზე 4 ფორმის ნაცვლად ათს ათავსებენ.

ამ ღონისძიებათა განხორციელებით კოშინატმა მიმდინარე წლის ოთხი თვის საწარმოო გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა.

კერამიკოსები უფრო მეტი მონდომებით მუშაობენ მაისში. ქაშანურის სანიტარულ ნაკეთობათა გამოშვების 15 დღის გეგმა 103 პროცენტით შეასრულეს.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბროშურა აქტუალური საკითხებიდან

საქართველოს სახელგამმა გამოსცა ა. ვ. დარჯანიას და პ. ი. ხუხუნაიშვილის ბროშურა „მომთაბარე მეცხოველეობა საქართველოში და მისი ვეტერინარული მომსახურება“. ამ ნაშრომში გაშუქებულია მომთაბარე მეცხოველეობის თავისებურება საქართველოში, ცხოველთა შენახვის სხვადასხვა სისტემა და მომთაბარეობის გავლენა ინფექციის გავრცელებაზე, ვეტერინარული ღონისძიებანი პირუტყვის საზაფხულო იალაღებზე გარეკვის წინ, ტრასზე, საზაფხულო საძოვრებზე. აღწერილია პირუტყვის გადასარეკი ტრასა და მოცემულია მისი მოკლე დახასიათება, ვეტერინარული მომსახურების ორგანიზაციის და ვეტერინარულ დაწესებულებათა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი, სახელდობრ, გაშუქებულია ტრასზე არსებული და მომთაბარე ვეტპუნქტების, აგრეთვე მოძრავი ვეტერინარულ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიების უფლება-მოვალეობანი.

ავტორები იძლევიან მოკლე ცნობებს პირუტყვის ცალკეულ დაავადებათა შესახებ და აცნობენ მკითხველებს დაავადებათა თავიდან აცილების ღონისძიებებს. ამ საკითხების უკეთ გაშუქების მიზნით დაავადებანი დაყოფილია ორ ჯგუფად: გადამდები და არაგადამდები. პირველი, თავის მხრივ, განხილულია ორ ჯგუფად: ინფექციური და ინვაზიური. კარგია, რომ ავტორებმა მიზანშეწონილად ცნეს მოეცათ მოკლე ცნობარი წარილუეხა რქიანი პირუტყვის ზოგიერთ არაგადამდებ დაავადებათა შესახებ.

სარეცეპტო ბროშურა აღსანიშნავია იმით, რომ ის მომთაბარე მეცხოველეობის ვეტერინარული მომსახურების შესახებ არსებული მონაცემების შეჯამებული სახით გაშუქების პირველი ცდაა.

პირუტყვის შენახვის სხვადასხვა სისტემის მიხედვით იცვლება დაავადებათა გავრცელებაზე მოქმედი ფაქტორები. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს. ბრუცელოზის გავრცელება სტაციონარული მეცხოველეობის პირობებში ცალკეულ მეურნეობათა ფარგლებით შემოისაზღვრება და ამიტომ ღონისძიებაც შეიძლება მეურნეობათა მიხედვით განხორციელდეს. მომთაბარე მეცხოველეობის პირობებში კი, სახელდობრ, ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში, ბრუცელოზის გავრცელების ხელისშემწყობ ფაქტორთა მოქმედება მეურნეობათა ფარგლებს სცილდება.

ცალკეულ მეურნეობებში ბრუცელოზით დაავადებულ პირუტყვს შეუძლია დაავადება გავრცელოს რამდენიმე რაიონში. ინფექციის გავრცელება ხდება როგორც პირდაპირი კონტაქტის, ისე არაპირდაპირი — დაინფიცირებული ტრასის, წყლისა და საძოვრების მეშვეობით. ერთეულ მეურნეობებში დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებათა არასრულად განხორციელებით მნიშვნელოვნად შემცირდება სხვა მეურნეობაში ხარისხიანად განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგიც. ამიტომ აუცილებელია ბრუცელოზის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება არა იზოლირებულად ცალკეულ მეურნეობებში, არამედ ერთნაირი ინტენსივობით, თანმიმდევრულად ყველა იმ რაიონში (ზონებში), რომელთა პირუტყვს ერთმანეთთან უშუალო თუ მეშვეობითი შეხება აქვს გადარეკვის დროს ან საძოვარზე ყოფნის პერიოდში.

სარეცეპტო ბროშურა ეხმარება ექიმ-ვეტერინარებს ამ საკითხებზე. ბროშურის ავტორები მთელ რიგ ინფექციურ დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებას საკმაოდ სწორად გვირჩევენ ტერიტორიულ-საძოვრული მასშტაბით. ეს ბროშურა მოკლე ცნობარია მეცხოველეობის მუშაკთათვის.

ამასთან ამ ნაშრომს აქვს ნაკლოვანებანი. ავტორები უმთავრესად კმაყოფილდებიან პირუტყვის გადასარეკი ტრასის და საძოვრების კეთილმოუწყობლობის აღნიშვნით და არაფერს ამბობენ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებზე. არ მოაყავთ სწორად ორგანიზებული მომთაბარე მეცხოველეობის ეკონომიური სარგებლიანობის ფაქტიური კონკრეტული მაგალითები. ავტორებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოწინავეთა და ჩამორჩენილთა მაგალითზე ეჩვენებინათ, თუ რამდენად შესაძლებელია ამ დაბაკარგების თავიდან აცილება, რომლებიც ჩამორჩენილ მეურნეობებში აქვთ პირუტყვის მომთაბარეობის პირობებში შენახვის შედეგად.

მომთაბარეობის უკეთ მოწყობის მიზნით საჭირო ღონისძიებათა დასამუშავებლად ბროშურაში ნაკლებად არის გამოყენებული ის მასალები, რომლებიც დაგროვილია საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის, მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაობისა და თანამედროვე მოწინავე პრაქტიკის შედეგად.

ავტორები ცალკეულ დაავადებათა განხილვის დროს კმაყოფილდებიან ღონისძიებათა მხოლოდ სქემატურად გადმოცემით, არ იძლევიან საჭირო ახსნა-განმარტებას და სათანადო დასაბუთებას. ამ ნაკლის გამოსწორება უთუოდ სასარგებლო იქნება.

ნაშრომში არის ორთოგრაფიულ-სტილისტური ხასიათის შეცდომები, რის შედეგადაც ზოგიერთი წინადადება გაურკვეველი რჩება. მაგალითად, 41-ე გვერდის უკანასკნელ აბზაცში წერია: „ცენკოვსკის პირველი და მეორე ვაქცინა „სტი“. გამოდის, რომ ცენკოვსკის ვაქცინა ყოფილა პირველი, ხოლო მეორე — „სტი“. სინამდვილეში კი ლაპარაკია ცენკოვსკის პირველ და მეორე ვაქცინაზე და ვაქცინა „სტი“-ზე. არ არის სწორი ტერმინი „თვითმოძრავი“ ლაბორატორია (გვ. 23), „ნიადაგის ინფექცია“ და სხვ.

ბროშურაში ვხვდებით ზოგიერთ არაზუსტ გამოთქმას, მაგალითად, 30-ე გვერდზე კითხულობთ: „ერთი ნემსით ერთზე მეტი ცხოველის აცრა არ შეიძლება“. ლაპარაკია ამაზე, რომ ნემსი ისე არ უნდა გამოვიყენოთ, თუ მისი სტერილიზაცია არ მოვახდინეთ. ასევე არ არის ამომწურავი გამოთქმა „ინფექციის წყაროს წარმოადგენს ავადმყოფი ცხოველი და ამ დაავადებით მკვდარ ცხოველთა ლეშები, რომელთა მეშვეობით ხდება ნიადაგის და წყლის დაინფიცირება“. აჯობებდა, რომ ავტორებს ეთქვათ: ციმბირის წყლულის დროს (ამ დაავადებას ეხება მოყვანილი ციტატა) არსებობს ინფექციის როგორც პირველადი, ისე მეორადი წყაროს; მით უმეტეს, რომ დაავადება ხდება ძირითადად მეორადი წყაროს მეშვეობით.

აღნიშნული დეფექტები ბროშურას არ უკარგავს ღირებულებას, მაგრამ მათი გამოსწორებით ნაშრომი უფრო სასარგებლო გახდება.

დოცენტი ვ. შამათავა.

„როგორ მუშაობს ტელეფონი“

ამას წინათ გამომცემლობა „ტექნიკა და შრომამ“ გამოსცა თბილისის ავტომატური ტელეფონის სადგურის ინჟინრის ა. კარბელაშვილის პატარა წიგნი — „როგორ მუშაობს ტელეფონი“. წიგნში მარტივად და გასაგებად არის გაშუქებული ტელეფონის — კავშირგაბმულობის ამ მნიშვნელოვანი საშუალების საკითხები. მოკლე ისტორიული მიმოხილვის შემდეგ ავტორი განმარტავს ტელეფონის აპარატის ცალკეული ნაწილების დანიშნულებას, მათს კავშირს ტელეფონის სადგურთან, აღწერს, როგორ ხდება ორი ტელეფონის ერთმანეთთან ავტომატური დაკავშირება, რა პრინციპებზეა დამყარებული სადგურის რთული ხელსაწყოების მუშაობა.

წიგნში აღნიშნულია, რომ ავტომატური ტელეფონის სადგურში გამოყენებული ელექტრული სქემები და ზოგიერთი ხელსაწყო (წინასწარმძღებელები, მძღებელები) ფართო გამოყენებას პოულობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, კერძოდ, ავტომატიკასა და ტელემექანიკაში. საინტერესოდ იკითხება ქვეთავები, რომლებითაც მკითხველი ეცნობა სატელეფონო ტექნიკის უახლეს მიღწევებსა და განვითარების პერსპექტივებს. წიგნში განმარტებულია, თუ რატომ არის საჭირო და აუცილებელი აბონენტებმა დაიცვან ტელეფონით სარგებლობის წესები, რა ტექნიკურ უხერხულობას იწვევს ამ წესების დარღვევა. დასასრულ წიგნში ახსნილია ერთ ხაზზე რამდენიმე აბონენტის ერთდროულად ლაპარაკის ძირითადი პრინციპი.

ქართულ ტექნიკურ ლიტერატურაში დღემდე არ არის არც ერთი ორიგინალური წიგნი ტელეფონის შესახებ. ა. კარბელაშვილის ეს წიგნი, რომლის რედაქტორია კ. წერეთელი, ერთგვარი წვლილია ამ ხარვეზის შესავსებად. ეფიქრობთ, რომ იგი საინტერესო იქნება არა მარტო იმათთვის, ვინც ტელეფონით სარგებლობს, არამედ საშუალო სკოლების უფროსკლასელებისთვისაც, რომლებიც ჩაბმული არიან პოლიტექნიკურ სწავლებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში გაპარულია კორექტურული შეცდომები, რაც ჩრდილს აყენებს ამ სასარგებლო წიგნს.

ინჟინერი ს. თვარაძე.

რიგელი სტუმრები ქართველ მეგობრებთან

მოძმე საბჭოთა ლატვიის დედაქალაქის რიგის მშრომელთა წარმოგზავნილები განაგრძობენ თბილისის საწარმოების მუშაობის გაცნობასა და ქალაქის ღირსმესანიშნაობათა დათვალიერებას.

გუშინ, 21 მაისს, რიგელი მეგობრები იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ლენინის სახელობის რაიონში. პირველად ისინი ეწვივნენ ჩაის გადამწონ ფაბრიკას, რომლის კოლექტივმა გულთბილი შეხვედრა მოუწყო სტუმრებს. ფაბრიკის დირექტორი ამხ. მ. სარჯველაძე მათ ესაუბრა ჩაის წარმოების შესახებ, გააცნო ფაბრიკის ისტორია. რიგელთა უბის წიგნაკები შეივსო ახალი საინტერესო ცნობებით.

სტუმრებმა გულდასმით დაათვალიერეს ფაბრიკა, იყვნენ საამქროებში, ესაუბრნენ მუშა-მოსამსახურეებს. სატესტერო განყოფილებაში მათ „მონაწილეობა მიიღეს“ ჩაის დეგუსტაციაში. რიგის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ლეცისმა განაცხადა, რომ ლატვიაში კარგად იცნობენ ქართულ ჩაის. რიგის მშრომელთა აზრს გამოვთქვამ, თუ ვიტყვი, რომ ჩინებულია იგი, — თქვა ამხ. ლეცისმა.

სტუმრებს საჩუქრად მიართვეს ქართული ჩაი.

შემდეგ რიგელები ესტუმრნენ თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანას. სახელდახელო მიტინგზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ქარხნის დირექტორმა ამხ. ე. ჩაფიძემ.



ქ. რიგის მშრომელთა დელეგაცია თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საპასუხო სიტყვაში ამხ. ვ. ლეცისმა მადლობა გადაუხადა ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს გულთბილი შეხვედრისათვის.

ლატვიელმა მეგობრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ქარხნის მუშაობისადმი. ინტერესს აძლიერებდა ისიც, რომ ამ ქარხანას, მათივე გამოთქმით, რიგაში ჰყავს უმცროსი ძმა — რიგის შამპანური ღვინოების ქარხნის სახით. სტუმრებმა აქ შეიტყეს, რომ ამ დღეებში თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანა თავის უმცროს ძმას რიგაში გაუგზავნის 23 ათას დეკალიტრ შამპანური ღვინის მასალას.

საამქროების დათვალიერებისას სტუმრების ყურადღება მიიქცია ქარხანაში არსებულმა სისუფთავემ და წესრიგმა.

მეგობრულად დაემშვიდობნენ რიგელი სტუმრები მასპინძლებს. ქარხნის გამფორმებელი საამქროს უფროსმა ამხ. პ. ჩიქოვანმა ექსპრომტად უძღვნა ლექსი ლატვიელ ძმებს, ხოლო სტუმრებმა მადლობისა და მეგობრობის გრძნობით გამსჭვალული სტრიქონები შემატეს ქარხნის შთაბეჭდილებათა წიგნს.

დღის მეორე ნახევარში რიგის დელეგაციამ დაათვალიერა თბილისის ზღვა, რომელმაც სტუმრებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. რიგის მშრომელთა წარმოგზავნილები ფილარმონიის საზაფხულო თეატრში დაესწრნენ თბილისის პირველი საქალაქო პიონერული ფესტივალის დასკვნითს საღამოს.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა მუშაობა დაამთავრა

ვარშავა, 19 მაისი. (საკდესი). დღეს პოლონეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის დამთავრების შესახებ. ცნობაში ნათქვამია:

მიმდინარე წლის 15-18 მაისს მიმდინარეობდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმი. კამათში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანის ამხ. ვლადისლავ გომულკას მოხსენების გამო გამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 42 წევრი. საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ვლადისლავ გომულკამ.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმზე შექმნილი კომისიის საანგარიშო მოხსენება გააკეთა პარტიული კონტროლის ცენტრალური კომისიის თავმჯდომარემ ამხ. რომან ნოვაკმა. განხილვის შემდეგ პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება. პარტიული პასუხისმგებლობის შესახებ საზოგადოებრივი უშიშროების ყოფილი სამინისტროს ორგანოებში დამახინჯებებისათვის.

მოხსენება პარტიის III ყრილობისათვის მზადების შესახებ გააკეთა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ამხ. ეჟი მორავსკიმ. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება მოწვეულ იქნას პარტიის III ყრილობა 1957 წლის დეკემბერში, აგრეთვე აირჩია კომისია ყრილობისათვის თეზისების მოსამზადებლად და კომისია პარტიის წესდებაში შესატან ცვლილებათა პროექტის შესამუშავებლად. ყრილობის თეზისებისა და წესდების შესწორებათა პროექტები უნდა წარედგინოს ცენტრალურ კომიტეტს არაუგვიანეს 1957 წლის სექტემბრისა. მას შემდეგ, რაც ამ პროექტებს ცენტრალური კომიტეტი დაამტკიცებს, დაიწყება მათი საერთო პარტიული განხილვა.

ორგანიზაციულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებანი: იმასთან დაკავშირებით, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხ. ედვარდ ოხაბი გადადის სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტზე, პლენუმმა გაათავისუფლა იგი პოლოხეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრის მოვალეობისაგან.

პლენუმმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრად აირჩია ამხ. ეჟი მორავსკი და ზენონ კლარკი.

პლენუმმა ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება „პარტიის აქტუალური ამოცანების შესახებ“.

ბერლინში ჩავიდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაცია

ბერლინი, 20 მაისი. (საკდესი). დღეს ბერლინში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ვ. შიროკი.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლის გამო ვაგზლის მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ო. გროტეოლმა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ვ. შიროკიმ.

კომუნიკე
საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ეკონომიური თანამშრომლობის კომისიის სხდომის შესახებ

1957 წლის 15-დან 17 მაისამდე ქალაქ პრაღაში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ეკონომიური თანამშრომლობის იმ კომისიის პირველი სხდომა, რომელიც შექმნეს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობებმა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ერთობლივი დეკლარაციის შესაბამისად, რასაც ხელი მოაწერეს 1957 წლის 29 იანვარს.

კომისიის სხდომაში საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობა მიიღეს: ამხ. მ. ზ. სახუროვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ — კომისიის საბჭოთა ნაწილის თავმჯდომარემ; კომისიის საბჭოთა ნაწილის წევრებმა: ამხ. ი. გ. კაბანოვმა — სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა; ამხ. დ. გ. ეიმერინმა — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ; ამხ. ვ. ვ. ნიკიტინმა — ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსმა; ჩეხოსლოვაკიის მხრივ: ამხ. ი. დოლანსკიმ — ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და კომისიის ჩეხოსლოვაკიის ნაწილის თავმჯდომარემ; კომისიის ჩეხოსლოვაკიის ნაწილის წევრებმა: ამხ. ო. შიმუნეკმა — მინისტრმა, სახელმწიფო საგეგმო სამმართველოს თავმჯდომარემ; ამხ. რ. დვორეკამ — ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა; ამხ. ი. ბუკალმა — ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრმა; ამხ. ი. რეიტმაიერმა — ჩეხოსლოვაკიის მეტალურგიული მრეწველობისა და სამადნეოების მინისტრმა; ამხ. ნ. სტრაკამ — ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ.

კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა ორგანიზაციული საკითხები — მიიღო კომისიის დებულება, აგრეთვე დაამტკიცა 1957 წლის მუშაობის გეგმა.

კომისიის მუშაობის გეგმაში გათვალისწინებულია ორივე ქვეყნის ბუნებრივი და ეკონომიური რესურსების, კერძოდ, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური და მსუბუქი მრეწველობის დარგში ორივე ქვეყანას შორის ურთიერთსასარგებლო გამოყენების გზით სამრეწველო წარმოების ყველაზე ეფექტიანი და მიზანშეწონილი კოორდინაციის საკითხთა შემუშავება და განხილვა.

საკითხთა განხილვა მიმდინარეობდა ძმური მეგობრობის, სრული ურთიერთგაგებისა და გულწრფელი თანამშრომლობის სულისკვეთებით. ორივე ქვეყნის წარმომადგენლები ეყრდნობოდნენ იმას, რომ სახალხო მეურნეობის გეგმების ურთიერთკოორდინაცია და შრომის სოციალისტური განაწილება ქვეყნებს შორის შეესაბამება მათს ურთიერთ ინტერესებს და რომ კომისიის მუშაობა განხორციელდება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს პრინციპებისა და მისი რეკომენდაციების შესაბამისად, ხელს შეუწყობს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მრავალმხრივი ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებას.

კომისიის საბჭოთა ნაწილის წევრები მიიღეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამხ. ზაპოტოცკიმ, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ამხ. შიროკიმ და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნოვოტნიმ.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა ინახულეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ზოგიერთი დიდი საწარმო.

კომუნიკე
საბჭოთა კავშირ-კორეის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მესამე სესიის შესახებ

ამა წლის 17 მაისს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-კორეის კომისიის მესამე სესიამ. ხელმოწერილია შესაბამისი ოქმი.

სესიამ განიხილა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და საწარმოო გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მორიგი საკითხები, აგრეთვე მეორე სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა.

ამ ოქმის შესაბამისად კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას გადაეცემა მანქანებისა და მოწყობილობის, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო და საფეიქრო მანქანების, ტუმბოებისა და პერფორატორების კეთების ტექნიკური დოკუმენტაცია და სხვა დოკუმენტაცია, საბჭოთა ორგანიზაციები მიიღებენ კორეელ სპეციალისტებს და გააცნობენ მათ საწარმოო გამოცდილებას და მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს ელექტროსადგურების მშენებლობის, შავი და ფერადი მეტალურგიის, ელექტრომექანიკური და მსუბუქი მრეწველობის, ჰიდროგეოლოგიური კვლევის დარგში, აგრეთვე თავიანთ სპეციალისტებს მიაღლინებენ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში კონსულტაციისა და ტექნიკური დახმარების გასაწევად ადგილზე.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა თავის მხრივ გადასცემს საბჭოთა კავშირს ცალკეულ სახეობათა მოწყობილობის ტექნიკურ დოკუმენტაციას და მიიღებს საბჭოთა სპეციალისტებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გასაცნობად.

სესიის მოწყობის დროს კორეის მხარის დელეგაცია გაეცნო ფერადი და შავი მეტალურგიის და ქიმიური მრეწველობის ზოგიერთი ქარხნის მუშაობას, აგრეთვე ატომის ელექტროსადგურის მუშაობას.

დელეგაცია აგრეთვე ეწვია და გაეცნო ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტისა და სხვა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაობას.

სესიამ გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა და დიდი ნაბიჯი იყო სსრ კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საქმეში.

ეგვიპტე-ავღანეთის ერთობლივი კომუნიკე

კაირო, 19 მაისი. (საკდესი). 13-18 მაისს ეგვიპტეში იმყოფებოდა ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ დაუდი, რომელიც ჩამოვიდა ოფიციალური ვიზიტით ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის მოწვევით. ეგვიპტე-ავღანეთის ერთობლივ კომუნიკეში, რომელიც 18 მაისს გამოქვეყნდა აქ, ნათქვამია, რომ პრემიერ-მინისტრ მუჰამედ დაუდსა და პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერს შორის გაიმართა რამდენიმე შეხვედრა, რომლის დროს მათ განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობა მთლიანად და მდგომარეობა შუა აღმოსავლეთში განსაკუთრებით. ძოლაპარაკებამ ორივე ლიდერს შორის, ხაზგასმით აღნიშნულია კომუნიკეში, გამოავლინა პრინციპებისა და მიზნების ერთიანობა.

პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა და პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ დაუდმა, როგორც აღნიშნულია კომუნიკეში, განიხილეს, კერძოდ, „საქმიანობა საერთაშორისო მშვიდობის მიღწევისა და მისი უზრუნველყოფის ინტერესებისათვის პოზიტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკის განხორციელებისა და ბანდუნგის კონფერენციის პრინციპების დაცვის გზით, პრინციპებისა, რომლებსაც ისინი მუდამ უჭერდნენ ძახარს“.

„მშვიდობის შენარჩუნება, — ნათქვამია კომუნიკეში, — შეუძლებელია მიღწეულ იქნას გათიშვისა და ბლოკების გზით. მისი მიღწევა შეიძლება მხოლოდ კოლექტიური უშიშროების შექმნით საერთაშორისო საფუძველზე და იმ გზით, რომ შეწყდეს ზოგიერთი ქვეყნის ბატონობა სხვა ქვეყნებზე“.

ორივე ლიდერი ამტკიცებს, რომ კოლონიალიზმი მისი ყველა ფორმით არის ბოროტება, რომელსაც რაც შეიძლება მალე უნდა მოეღოს ბოლო.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ორივე ლიდერი, დარწმუნებული, რომ ყველა სახელმწიფოს, დიდი იქნება იგი თუ პატარა, აქვს სრული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის და სახელმწიფოებს შორის თანასწორობის დაცვის უფლება, მხარს უჭერს ხალხთა ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მათ მიაჩნიათ აგრეთვე, რომ პალესტინელი არაბების უფლებათა უგულებელყოფა აძლიერებს დაძაბულობას შუა აღმოსავლეთში.

კომუნიკეს დასკვნითს ნაწილში ნათქვამია, რომ პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა და პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ დაუდმა დაადასტურეს თავიანთი გადაწყვეტილება განამტკიცონ კავშირი და თანამშრომლობა თავიანთ ქვეყნებს შორის და განავითარონ სავაჭრო ურთიერთობა და კულტურული გაცვლა ავღანეთისა და ეგვიპტის ხალხთა აყვავების მიღწევის მიზნით და ურთიერთ სარგებლობის ინტერესებისათვის.

იტალიის ახალი მთავრობა

რომი, 20 მაისი. (საკდესი). მთავრობის კრიზისის შემდეგ, რაც თითქმის ორ კვირას გაგრძელდა, გუშინ ქრისტიან დემოკრატთა პარტიის მოღვაწემ ძოლიმ შეადგინა ახალი კაბინეტი.

იტალიის ახალი მთავრობის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და პიუჯეტის მინისტრი ძოლი.

ყველა მინისტრი ქრისტიან დემოკრატთა პარტიის წევრია, გარდა საგარეო ვაჭრობის მინისტრის დამოუკიდებელი გუიდო კარლისა.

ანსამბლი პამირიდან

მდიდარი და მრავალფეროვანია ტაჯიკი ხალხის ხელოვნება. მისი მუსიკალური კულტურა უძველეს დროში წარმოიშვა, მაგრამ ხალხს წარსულში საშუალება არ ჰქონდა საკვეყნოდ გამოემზიურებინა თავისი შემოქმედება. მით უმეტეს ეს ითქმის მთიანი პამირის მცხოვრებლებზე, რომლებიც ბარს მოწყვეტილი იყვნენ უგზოობის გამო. პამირის მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქის მოსახლეობას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა საშუალება თავისი შემოქმედება ყიშლაღებიდან გამოეტანა, გაეცნო იგი ბარის ტაჯიკეთის მოსახლეობისა და სხვა ეროვნებათა ხალხებისათვის.

თბილისში ამჟამად საგასტროლოდ იმყოფება პამირის ხალხური მუსიკის, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ანსამბლს არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი 1955 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა. მაგრამ ამ მცირე ხნის მანძილზე ანსამბლმა საკმაო პოპულარობა მოიპოვა ტაჯიკეთის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. მან იმოგზაურა მოკავშირე რესპუბლიკებში, მონაწილე იყო ტაჯიკეთის სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისა მოსკოვში. ანსამბლი მონაწილეობას მიიღებს ახალგაზრდობის მშვიდობის მეექვსე მსოფლიო ფესტივალში.

ანსამბლს, რომლის შემადგენლობაშია 50 კაცი, ხელმძღვანელობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი გ. გულამჰაიდეი, რეჟისორია ტაჯიკეთის სსრ დამსახურებული არტისტი ა. რახმანკულოვი, მუსიკალური ხელმძღვანელი — ო. ბანდიშოევი, ცეკვების დადგმა ეკუთვნით ტაჯიკეთის სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. პროცენკოსა და მ. ათამოვს.

მაყურებელი სცენაზე ხედავს მთიანი პამირის ხალხის ეროვნულ საკრავებს — რუბაბს, გიდჯაკს, სეტორს, ტამბურს, ნაის და დაირას. ანსამბლის მონაწილეების მიერ შესრულებული ყველა ცეკვა, მუსიკა, სიმღერა კომბინირებულია. მათი სიმღერა, მუსიკა მელოდიურობით, რიტმულობითა და ხმოვანებით კავკასიურს მოგვაგონებს.

...იხსნება ფარდა. მთის ფერდობზე დგას ახალგაზრდა მწყემსი, რომელიც სალამურს უკრავს. სალამურს ეხმაურებიან არა მარტო პამირის მთები, არამედ ახალგაზრდებიც. ეს არის საგალობელი პამირელ ხალხზე, რომელიც ახალ ცხოვრებას აშენებს.

მოცეკვავეთა ჯგუფმა შეასრულა ეროვნული ცეკვები — ცეკვა ცხენებით და „არწივები“ (დადგმა ა. პროცენკოსი და მ. ათამოვისა). ეს ცეკვები მაყურებელს იპყრობს შესრულების მრავალფეროვნებით, სიმძლავრით, ბუნებასთან ახლო კავშირით, იუმორით. მომხიბლავია მოცეკვავეთა ჩაცმულობა და ბუტაფორია. ცეკვა „არწივებში“ მსახიობებმა გ. ხუდონაზაროვმა, ხ. გულამადოვმა, უ. მაშრაბოვმა, ხ. კუდრატბეგოვმა და შ. პულატოვმა ნიჭიერად, პოეტურად გადმოსცეს მთის არწივების ამაყი ბუნება.

მსმენელებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ათი წლის ბიჭუნამ განჯიბეკ გულამჰაიდაროვმა, რომელმაც უშუალოდ, კარგი ლირიული ხმითა და არტისტული მონაცემებით შეასრულა სიმღერა „ჩემო მეგობარო“.

ანსამბლის მონაწილეებს შორის მრავალი სოლისტი მომღერალია. კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს პროგრამის წამყვანმა ო. არიფოვმა და მისმა დამ ბ. არიფოვამ. ო. არიფოვმა რუსულ ენაზე შეასრულა სიმღერები „არაჩიუულებრივი თვალები“ და „ბაქო“. კარგი იყო ანსამბლის იმიტატორი რ. ახმედოვი.

ბ. ბასტურიძე.

სურათზე: პამირის ხალხური მუსიკის, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

გ. კუპრაშვილის საიუბილეო საღამო

20 მაისს თბილისის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ უფროს და სორჩ მაყურებელთან ერთად აღნიშნა რესპუბლიკის სახალხო არტისტის გოგუცა ნიკოლოზის ასულ კუპრაშვილის დაბადების 50 და სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავი.

საიუბილეო საღამო, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა, შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ვ. კუპრავამ. მსახიობის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ თ. მათიაშვილმა, თბილისის სკოლებისა და ამიერკავკასიის რკინგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლის მოსწავლეებმა, პოეტმა-აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა, ერევნის მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან მ. ბეროიანმა. იუბილარს მიესალმნენ აგრეთვე დედაქალაქის თეატრების, საქართველოს თეატრალური საზოგადოების, საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საღამოს მხატვრულ განყოფილებაში გ. კუპრაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა სცენები მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლებიდან.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

იევპატორია. 20 მაისი. გრძელდება „ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. მესამე ზონის გუნდების მორიგი შეხვედრა გაიმართა იევპატორიაში. თამაშობდნენ ქუთაისის „ლოკომოტივისა“ და იევპატორიის „ზენიტის“ გუნდები. ძლაფრი სპორტული ბრძოლა დამთავრდა ფრედ 0:0. ამრიგად, ქუთაისის „ლოკომოტივი“ კვლავ დაუმარცხებლად იბრძვის და მესამე ზონის ლიდერთა ჯგუფში იმყოფება.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(მელიქიშვილის ქ. № 10)

ა. წ. 4 ივნისს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად **ვახტანგ ვიქტორის-ძე მეტრეველი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **ჯორჯლის ზემო არტერიის და ვენის ქირურგიული ანატომიის საკითხისათვის“.**

ა. წ. 11 ივნისს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ: 1. **მიხეილ სერაფიონის-ძე ხურციძე** — თემაზე. „Некоторые вопросы патологии висцерального лейшманиоза“.

2. **ივანე ისიდორეს-ძე დოლნაძე**—თემაზე: „ბოქვენის სახსრის მდგომარეობა ორსულობის დროს, მშობიარობის წინ და მშობიარობის შემდეგ“.

ა. წ. 18 ივნისს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად **ვახტანგ გრიგოლის-ძე გოგიბედაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე. **„ქრონიკული გასტრიტით დაავადებებზე ულტრამაღალ სიხშირის ელექტრომაგნიტური ველის მოქმედების საკითხისათვის“.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს კათედრის გამგის, პროფესორის, დოცენტის, უფროსი მასწავლებლის, მასწავლებლისა და ასისტენტის ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად შემდეგ კათედრებზე: ასტრონომიის, ზოგადი ფიზიკის, მყარი სხეულის ფიზიკის (გარდა კათედრის გამგის თანამდებობისა), ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის, პედაგოგიკის, შუა საუკუნეების ისტორიის, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის, იუსტინიანეს ენის № 2. სპარსული ფილოლოგიის, სახელმწიფო სამართლის, ფილოსოფიის ისტორიის და ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის (მხოლოდ კათედრის გამგე პროფესორი ან დოცენტი).

იმ პირებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, განცხადება უნდა შემოიტანონ უნივერსიტეტის რექტორის სახელზე და ამავე დროს წერილობით აცნობონ ამის შესახებ იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, სადაც ამჟამად მუშაობენ.

განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების საბუთების სათანადოდ შემოწმებული პირები, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათ შესახებ.

კონკურსის ვადა 1 თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

უნივერსიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 1.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ა. წ. 1 ივნისიდან აწყობს მოსამზადებელ ორთვიან კურსებს წარმოების იმ მუშაკთათვის, რომლებსაც აქვთ წარმოებაში მუშაობის სტაჟი არანაკლებ 2 წლისა და სურთ მიიღონ უმაღლესი განათლება სამუშაოსაგან მოწყვეტით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში 1957-58 სასწავლო წლიდან.

კურსებზე სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთები: განცხადება, დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), ცნობა სამსახურის ადგილიდან თანამდებობის და სტაჟის აღნიშვნით, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, პასპორტი და სამხედრო ბილეთი (წარმოადგენს პირადად).

განცხადებების მიღება იწარმოებს ა. წ. 31 მაისამდე. კურსებზე სასწავლო გადასახადია თვეში 170 მანეთი.

კურსანტებს ინსტიტუტი საერთო საცხოვრებლით არ უზრუნველყოფს.

დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირადღისა, დღის 2 საათიდან 5 საათამდე კურსების ხელმძღვანელთან (II კორპუსი, I სართული, ოთახი № 201)

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 33.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტს“ ესაჭიროება დამხმარე მუშები.

პირობებს გაგება შეიძლება ლენინის ქ. № 14, მე-3 სართული, მე-10, 11 ოთახი.

დირექცია.

საქართველოს რადიოგადაცემათა პროგრამა 22 მაისისათვის პირველი და მეორე პროგრამით

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით

06.30 — ტუსკიას სიუიტა „სამშობლო“, 07.40 — „პიონერთა დაფიონი“, 08.20 — სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა მუსიკა, 11.00 — პოპულარული მუსიკის კონცერტი, 12.15 — გრიგის საფორტეპიანო ნაწარმოებები, 12.45 — ქაოთველ კომპოზიტორთა ვოკალური ნაწარმოებები, 13.20 — თათრული მუსიკის კონცერტი, 14.05— ფანტაზიები, 14.30 — ლიტერატურული გადაცემა — ეიმმონდ მორიცის მოთხრობა „სიყვარული“, 17.20 — ქართული კამერული მუსიკის კონცერტი, 18.15 — საქართველოს სახელმწიფო კაპელის კონცერტი, 18.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის ციკლიდან „გვეკითხებიან — ვუპასუხებთ“, 19.20 — დებიუსის ნოქტიურნები, 19.40 — რადიოსადგურებით გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, თბილისის საქალაქო ქსელით — გადაცემა ციკლიდან „შოპენის შემოქმედება“, 20.20— გადაცემა ციკლიდან „თეატრი მიკროფონთან“ — მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „რიჩარდ მესამე“.

რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე

12.15 — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ მიმოხილვა, 18.15 —19.00 — გადაცემა სომხურ ენაზე. 20.30 —21.00— გადაცემა აზერბაიჯანულ ენაზე.

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო სამმართველო 1 ივნისიდან ზაფხულის პერიოდში ხსნის კურორტებზე **კოჯორში** და **მანგლისში** ბავშვთა (7-14 წ.) და მოზარდთა (14-18 წ.) საერთო თერაპევტიულ სანატორიუმს.

საგზურების ღირებულება 30 დღით 900 მანეთი.

მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ საგზურები საკურორტო სამმართველოში: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 2, ტელეფონი № 3-16-30.

თბილისის 77-ე საშუალო სკოლის პედკოლექტივი და მოსწავლეები იუწყებიან რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის

ანა ანდრიას ასულ კოტეტიშვილის

გარდაცვალებას.

ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის № 13 საშუალო სკოლის კოლექტივი იუწყება ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის

ევგენი ალექსის-ძე ნოზაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-V, 5 ს. ქ. ხაშურში, გამოსვენება ბინიდან, ოქტომბრის ქ. № 48.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან

გუია კონტორიას-ძე შენგელიას

გარდაცვალებას.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის საქონელმცოდნეობის კათედრის წევრები იუწყებიან კათედრის თანამშრომლის

ოლღა ზაქარიას ასულ ტაბატაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-V, 8 ს. გამოსვენება 23-V, 6 ს. შაუმიანის ქ. № 66.

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან

ნინო პეტრეს ასულ კაპანაძე-აბრამიშვილის

გარდაცვალებას.

მოქალაქე ალექსანდრა გრიგოლის ასულმა ქორქია-ტროიცკაიამ, მცხოვრებმა პლეხანოვის პროსპ. № 65, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **გარი ვლადისლავის-ძე ტროიცკისთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს კათედრის გამგის, პროფესორის, დოცენტის, უფროსი მასწავლებლის, მასწავლებლისა და ასისტენტის ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად შემდეგ კათედრებზე: ასტრონომიის, ზოგადი ფიზიკის, მყარი სხეულის ფიზიკის (გარდა კათედრის გამგის თანამდებობისა), ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის, პედაგოგიკის, შუა საუკუნეების ისტორიის, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის, იუსტინიანეს ენის № 2. სპარსული ფილოლოგიის, სახელმწიფო სამართლის, ფილოსოფიის ისტორიის და ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის (მხოლოდ კათედრის გამგე პროფესორი ან დოცენტი).

იმ პირებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, განცხადება უნდა შემოიტანონ უნივერსიტეტის რექტორის სახელზე და ამავე დროს წერილობით აცნობონ ამის შესახებ იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, სადაც ამჟამად მუშაობენ.

განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების საბუთების სათანადოდ შემოწმებული პირები, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათ შესახებ.

კონკურსის ვადა 1 თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

უნივერსიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 1.

მოქალაქე გიორგი ივანეს-ძე აბრამიშვილმა, მცხოვრებმა სოფელ ნორიოში, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **კლავდია ივანეს ასულ აბრამიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის გარეუბნის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე მერი მიხეილის ასულმა დავარაშვილმა, მცხოვრებმა ვაჩნაძის შესახვ. № 8, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მიხეილ აბრამის-ძე მანაშეროვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლო.

შვილები ილია, დარიკო, პავლე, შიო, ევა, თამარ, სიმონ, ბაგრატ, სიძეები მ. ლელაშვილი, გ. მონასელიძე იუწყებიან

ელისაბედ დიმიტრის ასულ მუხიგულაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-V სოფ. თელადგორში (კასპის რ.).

**მეუღლე გიორგი, შვილები ალექსანდრე, ლევან, მერი, ნანული, რძლები ეთერ, ნაზი, სიძე ვ. ლავრელაშვილი